

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ქართველური ენათმეცნიერება

ჩანქსელიანი თამარი

**მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი
ნაწილაკების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართველურ
ენებში**

ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელები:

ქეთევან მარგიანი-სუბარი
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი.

მაია ლომია
ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი შეეხება მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს ქართველურ ენებში. მისი მიზანია შეისწავლოს ამ ტიპის ნაწილაკები აღნიშნულ ენებში ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირების გზით, რათა გამოავლინოს საერთო და განსხვავებული ენობრივი მახასიათებლები.

ცნობილია, რომ ქართულში შესაძლებლობის უარყოფას გამოხატავს „ვერ“ ნაწილაკი, რომელსაც სვანურში შეესაბამება უარყოფით ნაწილაკთა მრავალრიცხოვანი ვარიანტები, განსხვავებით მეგრულ-ლაზურისგან. სწორედ ამ რაოდენობრივმა სხვაობამ განსაზღვრა ამ ნაშრომის შექმნა. რამდენადაც უარყოფით ნაწილაკთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ქართველურ ენათა ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით ძალზე ფართო და მრავალწახნაგოვანი საკითხია, საკვლევად ავიღეთ მხოლოდ მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები ქართველურ ენებში შედარებით-შეპირისპირებითი თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა დროს არაერთი მეცნიერი შეეხო მოქმედების შემდგომ უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებს და უძღვნა გამოკვლევები, ჩვენი საკვლევი თემა **აქტუალური და სიახლის შემცველია**, რადგანაც მასში წარმოჩენილია ქართული „ვერ“ ნაწილაკისა და მისი ფარდი ნაწილაკების სემანტიკური შეხამების საკითხი სხვა ქართველურ ენებში, რაზეც ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში საგანგებო მსჯელობა არ ყოფილა.

ნაშრომში გაანალიზებული საკითხები მნიშვნელოვანია როგორც ქართველურ ენათა შედარებითი მორფოლოგიის თვალსაზრისით, ასევე თარგმნის დროს სხვადასხვა სტილური თავისებურებებისას სიმძლეების გასარკვევად.

ნაშრომის თეორიული ნაწილი ეყრდნობა სხვადასხვა დროს ამ თემაზე გამოქვეყნებულ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო სტატიებს, დამუშავებულია დიდძალი ემპირიული მასალა, რომელიც ეყრდნობა: ა. ნაბეჭდ ტექსტებს; ბ. ელექტრონულ წყაროებს; გ. 2018-2019 წლებში სვანეთსა და სამეგრელოში საველე სამუშაოების შედეგად მოპოვებულ მასალას.

Annotation

The present paper deals with structural-semantic analysis of particles that express the denial of the possibility of an action in Kartvelian languages. It aims to study the particles of this type in these languages using the comparative method in order to reveal common and different linguistic characteristics.

As known, in the Georgian language the denial of possibility is expressed by the negative particles *ver* “cannot” that has a number of equivalents in Svan unlike Megrelian-Laz. This difference in number conditioned the creation of this work. Since structural-semantic analysis of negative particles based on the empirical material of Kartvelian languages is a complex issue, we have decided to study only those particles that express the denial of the possibility of an action in Kartvelian languages in terms of contrast and comparison.

Although at different times a number of scholars have worked on the issue of particles expressing the denial of the possibility of an action and published their papers, our research topic is relevant because it can fill the gap that is specifically related to the semantic equivalence of the forms of the particle *ver* “cannot” in Kartvelian languages. The issues analyzed in the work are important in terms of the comparative morphology of Kartvelian languages, as well as to find the difficulties caused by different stylistic peculiarities during the process of translation.

The work consists of the introduction, the main parts of the text and the conclusion. It is accompanied by the table of contents, the list of the used literature and references. The introduction gives the information about the goals of the research, the used methods and the history of studying the issue. It tells about the topicality of the research and the tasks to achieve the desirable results.

The theoretical part of the work is based on Georgian and foreign scientific papers concerning the issue published at different times. The abundant empirical material based on a) published texts, b) electronic sources and c) the material obtained during the field works in Svaneti and Samegrelo in 2018-2019 has been processed.

სარჩევი

შესავალი.....	6
§1. საკითხის კვლევის ისტორია ქართულში.....	7
§2. საკითხის კვლევის ისტორია მეგრულსა და ლაზურში.....	8
§3. საკითხის კვლევის ისტორია სვანურში.....	8
თავი I	
1. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი „ვერ“ ნაწილაკი ქართულში	11
§1.1. „ვერ“ ნაწილაკის მნიშვნელობის რაობისთვის	11
§1.2. „ვერ“ ნაწილაკის სტრუქტურული ანალიზი	11
§1.3. „ვერ“ ნაწილაკის ადგილის საკითხისთვის	13
§1.4. „ვერ“ ნაწილაკის შეხამება ზმნურ ფორმებთან	13
თავი II	
2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები სვანურში	15
§2.1. „ვერ“ ნაწილაკის შესაბამისი უარყოფითი ნაწილაკები სვანურში.....	15
§2.1.1. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების განაწილება დიალექტების მიხედვით სვანურში.....	18
§2.1.2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა სტრუქტურული ანალიზი სვანურში	20
§2.2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა ადგილის საკითხისთვის სვანურში	24
§2.3. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა გამოყენების სფერო სვანურში.....	25
§2.4. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა შეხამება ზმნურ ფორმებთან სვანურში	27

თავი III

3. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამოხატვის საშუალებები მეგრულსა და
ლაზურში..... 30

 §3.1. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი მეგრულსა და
 ლაზურში..... 30

 §3.3 . „ვა(რ)“ უარყოფითი ნაწილაკის დაწერილობის საკითხი..... 33

 §3.4. ვა(რ)- უარყოფითი ნაწილაკის შეხამება ზმნურ ფორმებთან 34

თავი IV

§4. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების შედარებით-
შეპირისპირებითი ანალიზი ქართველურ ენებში 38

დასკვნა..... 42

გამოყენებული ლიტერატურა:..... 44

დანართი 47

შესავალი

„ნაწილაკი ჰქვია დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელ ბგერას, ბგერათა კომპლექსს თუ სიტყვას, რომელიც ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრით. სახელთან ხმარებული ნაწილაკი არ მოითხოვს რომელიმე ბრუნვის ფორმას, — იგი ყველა ბრუნვის ფორმასთანაა შესაძლებელი, გარდა წოდებითისა. ამით ის განსხვავდება თანდებულისგან. სიტყვა-სიტყვითი ნაწილაკი ყოველგვარ ფორმას დაერთვის, წოდებითისასაც კი. ნაწილაკი არ აერთებს წინადადების ორ წევრს ან ორ წინადადებას. ამით ის განსხვავდება კავშირისგან“ [ა. შანიძე 1980 : 607].

ფუნქციის მიხედვით ნაწილაკი მეტად მრავალფეროვანია. ერთსა და იმავე ნაწილაკს სხვადასხვა ვითარებაში ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე რამდენიმე ნაწილაკი ფუნქციით უახლოვდება ერთმანეთს და გარკვეულ ჯგუფს ქმნიან. შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ფუნქციები: კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, უკუთქმითი, სიტყვა-სიტყვითი, მიგებითი. არის ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ ნატვრას, გამხნეებას და სხვა (ა. შანიძე 1980 : 608).

ნაწილაკთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უკუთქმით ნაწილაკებს: **არ**, **ვერ**, **ნუ**. „მათ შორის ის განსხვავებაა, რომ „არ“ მარტივად უარყოფს („არ ჭამს“), „ვერ“ მოქმედების შეძლებას უარყოფს („ვერ ჭამს“), „ნუ“ კი (II კავშირებითთან აგრეთვე „არ“) კრძალავს მოქმედებას („ნუ ჭამს“, „არ ჭამოს“).

აღნიშნული ნაწილაკები ცალკეც იხმარება და სხვა ნაწილაკების, კერძოდ, **ღა**, **ც(ა)**-ს დართვითაც:

ღა ნაწილაკის დართვისას აღნიშნული ნაწილაკები ასეთ სახეს იღებენ: **აღარ**, **ვეღარ**, **ნუღარ** (უფრო სწორად რომ ვთქვათ, ესენი ასეთი ფორმებისაგან მომდინარეობენ: **არღარა**, **ვერღარა**, **ნუღარა**).

ც(ა) ნაწილაკის დართვით გვაქვს: **არც(ა)**, **ვერც(ა)**, **ნურც(ა)** [მოსალოდნელი იყო „ნურც(ა)“, მაგრამ „არც“ და „ვერც“ ნაწილაკების ანალოგიით **რ** ჩაერთო]. ნ. კიდევ §652“ [ა. შანიძე 1980 : 608].

ჩვენი ინტერესის სფეროა მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი „ვერ“ ნაწილაკი ქართველურ ენებში. ნაშრომში წარმოდგენილია ქართული „ვერ“

ნაწილაკისა და სხვა ქართველურ ენებში მისი ფარდი ნაწილაკების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი.

§1. საკითხის კვლევის ისტორია ქართულში

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს არაერთი მეცნიერი შეეხო მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის ვერ ნაწილაკს და უძღვნა გამოკვლევები. იკვლევდნენ ზოგადად ნაწილაკებს, უარყოფით ნაწილაკებსა და უარყოფით სისტემებსაც. ამ კუთხით ქართული ენის მასალა დამუშავებულია შემდეგი მეცნიერების ნაშრომებში: აკაკი შანიძე (ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, 1953წ.) - მეცნიერი განმარტავს ზოგადად ნაწილაკს, როგორც მეტყველების ნაწილს და სხვა ნაწილაკებთან ერთად ახასიათებს უკუთქმით ნაწილაკებს მათ ძირითად ფუნქციებთან ერთად;

ზურაბ ჭუმბურიძე (უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი 1970წ.) - მეცნიერი ვრცლად საუბრობს ქართულში არ (არა), ვერ (ვერა) და ნუ უარყოფით ნაწილაკებზე და მათი ხმარების სტილურ თავისებურებებზე; **ბესარიონ ჯორბენაძე** (უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში 1984წ.) - ნაშრომში განხილულია უარყოფის წარმოების სხვადასხვა საშუალებები ქართულში და მათ შორის უარყოფითი ნაწილაკებიც, რადგან სწორედ მათი საშუალებით გამოიხატება ქართულში წინადადების უკუთქმითობა. ორივე მეცნიერის მიერ დაწვრილებით არის შესწავლილი უარყოფითი ნაწილაკების და მათ შორის, შესაძლებლობის ვერ ნაწილაკის განაწილება ზმნის სხვადასხვა დროისა და კილოს ფორმებთან.

აღსანიშნავია, ასევე, შემდეგი გამოკვლევები: **მაყვალა მიქელაძე** - „ქართული უარყოფის სისტემისათვის (2000წ.)“; **მაია ადვაძე** - „უარყოფის სისტემა ქართულ ენაში (2013წ.)“.

§2. საკითხის კვლევის ისტორია მეგრულსა და ლაზურში

მეგრულში უარყოფის ნაწილაკებს და კონკრეტულად შესაძლებლობის უარყოფას ეხება: **ი. ყიფშიძე** (1914), რომელიც ყურადღებას ამახვილებს ვა- უარყოფითი ნაწილაკის ფონეტიკურ ცვლილებებზე, პოზიციასა და ფუნქციებზე;

არნ. ჩიქობავა ნაშრომში „პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში (1937)“, აღნიშნავს, რომ შეუძლებლობის გადმოსაცემად მეგრული იყენებს პოტენციალისის დადებით ფორმებს და უმატებს ვა „არ“ ნაწილაკს, ე. ი. უცვლელად რჩება უარყოფითი ნაწილაკი (ვა-) და იცვლება ზმნა;

მ. ხუბუა (1942) საკმაოდ ვრცლად და მყარი არგუმენტებით შეეხო ვა- უარყოფითი ნაწილაკის ფონეტიკური ტრანსფორმაციების საკითხსა და შედეგებს;

მ. ლომია (2005) საინტერესოდ მსჯელობს ვა- უარყოფითი ნაწილაკით ნაწარმოებ ლექსიკურ ერთეულებზე წიგნში „ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში“.

მეგრულში ვა- უარყოფითი ნაწილაკის რაობაზე საკმაოდ ვრცელი ინფორმაციაა გადმოცემული მონოგრაფიულ გამოკვლევებში: „მეგრულის ლინგვისტური ანალიზი“ (**გ. კარტოზია და სხვ. 2010**) და „ლაზურ-მეგრული გრამატიკა“ (**ჭ. ქირია და სხვ. 2015**).

აღსანიშნავია ახალგაზრდა მეცნიერის გიორგი ჯღარკავას ნაშრომი „უარყოფის გამოხატვის გრამატიკული მოდელისათვის მეგრულში (2015)¹. მნიშვნელოვანია **ს. გეგეჭკორის** საბაკალავრო ნაშრომი „ვა- უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი მეგრულში (2017)“.

§3. საკითხის კვლევის ისტორია სვანურში

სვანურში მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებს ვრცლად ახასიათებს **თ. შარაძენიძე** ნაშრომში „უარყოფითი ნაწილაკები სვანურში (1946წ.)“. აღნიშნული ნაშრომი მეტად საინტერესო და საჭიროა, რადგან ნაშრომის მიზანია სვანურში არსებულ უარყოფით ნაწილაკთა, ნაცვალსახელთა, ზმნისართთა და კავშირთა აღნუსხვა, მათი მნიშვნელობის დადგენა და, შეძლებისდაგვარად, უარყოფით ნაწილაკთა ხმარების წესებისა და შედგენილობის გარკვევა. საინტერესოა მეცნიერის მოსაზრება „მოშ“ ნაწილაკთან დაკავშირებით, რომელიც ქართულად ხშირად არც

¹ კათედრის შრომების V ტომში იბეჭდება.

ითარგმნება. „კატეგორიულ უარყოფით ნაწილაკებს, ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს ხსენებული მ ო შ პოტენციალის მნიშვნელობას ანიჭებს“ [თ. შარაძენიძე 1946: 314].

უარყოფითი ფორმების წარმოებას სვანურში ეხება ქ. მარგიანი-სუბარი ნაშრომში „უარყოფითი ფორმების წარმოება ქართველურ ენებში (სადიპლომო ნაშრომი, ხელნაწერი 1978)“. მოცემული ნაშრომის მიზანია ქართველური, აფხაზური და ადიღური ენების უარყოფით ფორმათა წარმოების შესწავლა და საერთოსა და განსხვავებულის გამოვლენა ამ საკითხებთან დაკავშირებით აღნიშნულ ენებში. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ქართველურ ენებში ზმნის უარყოფითი ფორმების წარმოება აღწერილია და სამივე ქართველურ ენაში უარყოფითობა ნაწილაკებით არის გამოხატული. აფხაზურსა და ადიღურში კი ზმნის უარყოფითი ფორმები აფიქსებით იწარმოება.

ა. ონიანს მოკლედ აქვს წარმოდგენილი სვანურში ნაწილაკთა ძირითადი ფუნქციური ჯგუფები, მათ შორის უარყოფითი ნაწილაკები („სვანური ენა“ - 1998). „ფორმაუცვლელობის გამო მორფოლოგიური ანალიზისთვის არც ნაწილაკი იძლევა ხელშესახებ მასალას“ [ა. ონიანი 1998 : 280].

საინტერესო და მნიშვნელოვანია ამ კუთხით მედეა საღლიანის ნაშრომი², რომელშიც ზოგადად განხილულია ნეგაციის კატეგორია სვანურის ყველა დიალექტის (მათ შორის ჩოლურული მეტყველებისა და ლახამურული კილოკავის) მონაცემთა გათვალისწინებით.

ქართველურ ენებში უარყოფის გამოხატვის ენობრივ საშუალებებზეა საუბარი გამოკვლევაში: „უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ქართველურ ენებში“ (რ. ქურდაძე და სხვ. 2016).

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი განსხვავდება ყველა ზემოდასახელებული კვლევისაგან, რადგან ჩვენ კონკრეტულად ერთი, ქართული „ვერ“ ნაწილაკისა და სხვა ქართველურ ენებში მისი შესატყვისი ფორმის/ფორმების სტრუქტურასა და სემანტიკას ვიკვლევთ. რამდენადაც შესაძლებლობის უარყოფის სემანტიკას სვანურში რამდენიმე ნაწილაკი გადმოსცემს, განსხვავებით ქართულისა და მეგრულ-ლაზურისაგან,

² მ. საღლიანი - ნეგაციისათვის სვანურ ენაში, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2013, 45-47გვ.

ბუნებრივად დგება ამ ენათა მონაცემების სემანტიკური შეხამება-შესაბამისობის გარკვევის საკითხი.

ნაშრომის მიზანია შესაძლებლობის უარყოფის გამოხატვის საშუალებათა განსაზღვრა ქართველურ ენებში და დადგენა იმისა, რა განაპირობებს სვანურში ქართული „ვერ“ ნაწილაკის შესაბამის ნაწილაკთა მრავალფეროვნებას.

ნაშრომი შედგება შესავლის, ტექსტის ძირითადი ნაწილისა და დასკვნებისაგან. ახლავს სარჩევი (შინაარსი), გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი. შესავალში საუბარია კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე, გამოკვეთილია თემის აქტუალობა, ჩამოყალიბებულია საკითხის კვლევის ისტორია და კვლევის შედეგების მისაღწევად გამოყენებული მეთოდები.

ნაშრომის თეორიული ნაწილი ეყრდნობა სხვადასხვა დროს ამ თემაზე გამოქვეყნებულ ქართულ და უცხოურ სამეცნიერო სტატიებს, დამუშავებულია დიდძალი ემპირიული მასალა. რომელიც აღებულია ნაბეჭდი ტექსტებიდან, ტიტუსის ელექტრონული ბაზიდან: <http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/framee.htm?/index.htm> და ავტორის მიერ 2018-2019 წლებში სვანეთსა და სამეგრელოში რამდენჯერმე განხორციელებული ექსპედიციის მასალებიდან.

თავი I

1. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი „ვერ“ ნაწილაკი ქართულში

§1.1. „ვერ“ ნაწილაკის მნიშვნელობის რაობისთვის

ქართულში არსებულ უარყოფით ნაწილაკთა სამი ჯგუფიდან (არ - მარტივი უარყოფა, ვერ - შესაძლებლობის უარყოფა, ნუ - აკრძალვა) ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ნაწილაკი „ვერ“, რომელიც *„მოქმედების შეძლებას უარყოფს („ვერ ჭამს“)* “[ა. შანიძე 1980: 610.]

უკუთქმითი ნაწილაკი „ვერ“ ზმნასთან ერთად გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. ნაწილაკს „ვერ“ შეუძლია მხოლოდ ზმნა-შემასმენლის უარყოფა (მ. ადვაძე 2013 : 48).

„ვერ ნაწილაკის რთული ვარიანტებია: ველარ, ვერც, ველარც. „ველარ“ გამოხატავს ზღვრული მოქმედების შესაძლებლობას. ნაწილაკი „ვერც“ ახდენს იმ სიტყვის აქცენტირებას, რომელთანაც დგას; ნაწილაკი „ველარც“ გვიჩვენებს შეუძლებლობის ზღვარს და მასთანავე, აქცენტირებას ახდენს იმ სიტყვაზე, რომელსაც მიეკუთვნება “[მ. ადვაძე 2013 : 48].

§1.2. „ვერ“ ნაწილაკის სტრუქტურული ანალიზი

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი „ვერ“ ნაწილაკის გვერდით გამოიყენება *„ვერა“*, რომელიც სრული სახეა ვერ ნაწილაკისა (ბ. ჯორბენაძე 1984 : 143).

ნაწილაკი „ვერა“ მხოლოდ გარეგნულად ემსგავსება თხზულ უარყოფით ნაცვალსახელს:

ვერა-რა „ვერაფერი“ > ვერრა > ვერა.

ვერ და ვერა ნაწილაკების განაწილება გარკვეული წესის მიხედვით ხდება.

შევუდაროთ ერთმანეთს ფორმები:

- გააკეთე?	- გააკეთე!
- ვერ გავაკეთე.	- ვერ გავაკეთებ!

- გააკეთე?	- გააკეთე!
ვერა	

ამ შედარებით ნათელი ხდება, რომ -ა ელემენტით დაბოლოებული ფორმა „ვერა“ ცვლის მთელ შესიტყვებას. საპირისპირო შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება „ვერ“ ნაწილაკს [ბ. ჯორბენაძე 1984 : 144].

რასაკვირველია, ეს არ გამორიცხავს „ვერა“ ნაწილაკის გამოყენებას სინტაგმაში. მართალია, გარკვეული შეზღუდვით, მაგრამ „ვერა“ ამ შემთხვევაშიც გვხვდება: ვერა ჩივის, ვერა ტყუის, ვერა წერს... „ვერა“ ხსენებული ტიპის სინტაგმებში მაშინაა გამოყენებული, როცა ზმნას არ მოეპოვება ზმნისწინი ან ხმოვანი პრეფიქსი, საკმარისია ერთის ან მეორის მქონებლობა, რომ „ვერა“ ნაწილაკის ხმარება იკრძალება, დასაშვებია მხოლოდ „ვერ“.

ხსენებული თავისებურება შესაძლებლობას იძლევა სინტაგმით იქნეს გარჩეული „ვერა“ უარყოფის ნაწილაკი და „ვერა“ უარყოფითი ნაცვალსახელი: ვერა წერა („ვერა“ - უარყოფის ნაწილაკია), მაგრამ: ვერა დაწერა („ვერა“ - უარყოფითი ნაცვალსახელია და ნიშნავს „ვერაფერი დაწერა“) (ბ. ჯორბენაძე 1984 : 144).

§1.3. „ვერ“ ნაწილაკის ადგილის საკითხისთვის

„ჩვეულებრივ უარყოფა ეხება რაიმე მოქმედებას, რომელიც ენაში ზმნით არის გამომხატული. ამიტომ, ცხადია, უარყოფითი ნაწილაკები ზმნასთან არის დაკავშირებული და მათი გრამატიკული თუ სტილური თავისებურებანი ზმნის მეზობლად, ზმნასთან შეფარდებით მულავენდება“ [ზ. ჭუმბურიძე 1970 : 41].

უარყოფითი ნაწილაკები და მათ შორის მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი „ვერ“ ქართულში ყოველთვის წინ უძღვის ზმნას. მათი ადგილის შენაცვლება შეუძლებელია. გამონაკლისი შეიძლება შეგვხვდეს პოეტური ლიცენციის სახით:

„მოვისვენებ მანამდის ვერ,

სანამ ლეკზე ჯავრს არ ვიყრი“ (დ. გურამიშვილი) (ზ. ჭუმბურიძე 1970 : 41).

ბ. ჯორბენაძის აზრით, უარყოფის მნიშვნელობა ქართულში ორგვარად გამოიხატება: *„1) უარყოფის უ- პრეფიქსის საშუალებით; 2) უარყოფის არ, ვერ ნუ ელემენტების (ე. წ. ნაწილაკების) საშუალებით:*

ა) ზმნებში: არ გააკეთა, ვერ გააკეთა, ნუ გააკეთებ!...

ბ) სახელებში: არგაგონილი, ვერმიხვედრილი...“ [ბ. ჯორბენაძე 1984:136].

თუმცა, ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს შესაძლებლობის უარყოფის მნიშვნელობის გადმოცემა მხოლოდ ზმნებში და არა სახელებში.

§1.4. „ვერ“ ნაწილაკის შეხამება ზმნურ ფორმებთან

ზმნის მწკრივთა მიხედვით თუ განვიხილავთ, აღმოჩნდება, რომ „არ“ და „ვერ“ ნაწილაკები თანაბრად შეიძლება შეგვხვდეს ყველა მწკრივის ფორმასთან: არ აკეთებს - ვერ აკეთებს, არ აკეთებდა - ვერ აკეთებდა, არ აკეთებდეს - ვერ აკეთებდეს და ა. შ. (უკუთქმით ბრძანებითში გამოიყენება მხოლოდ არ, „ვერ“-ის გამოყენება შეუძლებელია).

კილოს ფორმებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ „ვერ“ ნაწილაკი სრულიად არ გვხვდება ბრძანებითი კილოს ფორმებთან, მიზეზი გასაგებია. *„ვერ აღნიშნავს, რომ მოქმედება არ სრულდება სუბიექტის სურვილისა და ცდის მიუხედავად, სუბიექტს არ*

შეუძლია მოქმედების შესრულება, ამიტომ ბრძანება ასეთ შემთხვევაში შეუფერებელი და უადგილოა“ [ზ. ჭუმბურიძე 1970 : 42].

მოიპოვება გარკვეული სემანტიკის ზმნები, რომლებთანაც „ვერ“ ნაწილაკი, როგორც წესი, არ გამოიყენება. კერძოდ, ასეთებია ზმნები, რომლებიც გრძნობა-აღქმას გამოხატავენ: სწყურია, სტკივა, უყვარს, იცის, ესმის, უნდა... ედიდება, ეჭმევა, ემღერება... ასევე მყოფობის, მქონებლობის და ზოგი სხვა ფუნქციის გამომხატველი სტატიკური ზმნები: აქვს, ჰყავს, სწერია, ასხია, აბადია, გააჩნია... ამ ზმნებთან უარყოფის შემთხვევაში, როგორც წესი, „არ“ ნაწილაკი გამოიყენება. საქმე ისაა, რომ ხსენებული ზმნები ან საერთოდ ვერ იგუებენ შესაძლებლობის სემანტიკას (სწყურია, სტკივა...), ანდა „ვერ“ ნაწილაკის გარეშეც გამოხატავენ შესაძლებლობას (ამ რიგისაა, მაგალითად, პოტენციალისის ფუნქციის გამომხატველი ეჭმევა ფორმა: არ ეჭმევა თავისთავად შეუძლებლობაა, გამოხატული თვით ზმნური ფუძით, არ ნაწილაკი მხოლოდ უარყოფას აღნიშნავს) (ზ. სარჯველაძე 1984:140).

„ვერ ნაწილაკი არ იხმარება აგრეთვე არის, არსებობს, იმყოფება, აქვს ზმნებთან, მაგრამ თუ ამათგან რომელიმეს ახლავს ვითარების განმარტება-დახასიათება, მაშინ „არ“ ნაწილაკის პარალელურად ვერ-ის ხმარება დასაშვებია:

- *„ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს“*
- *„კარგად ვერა აქვს საქმე“ [ზ. ჭუმბურიძე 1970 : 42].*

თუმცა იშვიათად „ვერ“ ნაწილაკი ამ პირობის გარეშეც შეიძლება იქნეს გამოყენებული: „ზამთარში, როცა ჩვენი ფეხბურთელები აშკარად ვერ არიან ფორმაში, თბილისელ ფეხბურთელებს დაუგეგმეს თამაში იტალიაში (ზ. სარჯველაძე 1984:141).

არის ისეთი ზმნებიც, რომლებიც მარტოდენ „ვერ“ ნაწილაკს იგუებენ უარყოფის შემთხვევაში. ამ რიგისაა, მაგალითად, წარმოიდგენ-ს ზმნა: ვერ წარმოიდგენს, ვერ წარმოედგინა... არ ნაწილაკის გამოყენება ამ შემთხვევაში უმართებულოა (ზ. სარჯველაძე 1984: 141).

თავი II

2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები სვანურში

§2.1. „ვერ“ ნაწილაკის შესაბამისი უარყოფითი ნაწილაკები სვანურში

ნაწილაკთა ერთი ჯგუფი სვანურში, ქართულის მსგავსად, სუფიქსური წარმოებისაა, მეორე ჯგუფი კი დამოუკიდებელი სიტყვებია და, როგორც წესი, ზმნასთანაც დასტურდებიან და სახელთანაც (ონიანი 1998:297).

სვანურში ნაწილაკთა რამდენიმე ფუნქციური ჯგუფიდან აღსანიშნავია უკუთქმითი ნაწილაკები, რომელთა რაოდენობა სვანურში ქართულთან შედარებით ბევრად მეტია და სწორედ მათი საშუალებით გამოიხატება წინადადების უკუთქმითობაც.

მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდულობას ქართულში გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“, სვანურში კი ამ ნაწილაკის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება როგორც ერთსა და იმავე დიალექტში, ასევე სხვადასხვა კილოებში: *დეშ*, *დოშ* (ზზ., ქსვ.), *მადშ-მარ/მარ*, *მადრ/მათშ*, *მარ/მარ*, *მარშ* (ლნტ.), *დეშა*, *დეშა*, *მეშამ* (ლშხ.); მათ შორის ძირითადი, ყველაზე გავრცელებული და ოთხივე დიალექტის კუთვნილება არის *დეშ*.

➤ *დეშ*

მაგ.: დეშ ჯიბაჟახ აბჯრიშ ჩიხილდ! - Не могли узнать звука доспехов - ვერ გაგიგიათ აბჯრის ხმაური!

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=E610E310DC10E310DA10D310&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

მურზას ალა დეშ ხობაჟა. - მურზას ეს ვერ გაუგია.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=E610E310DC10E310DA10D310&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

³ მაგალითები სრულად იხილეთ დანართში ცხრილი №1

➤ დომ⁴

მაგ.: ჭყინტს აჯალ ათყალუნდა: "იმე როქ პთუპეჟნი ეჯკალობ ჰგის, ერე ამნემ ჩუ დომ ემწუენე?" - ბიჰს კვლავ შეეშინდა: „სად დავიმალო ისეთ ადგილას, რომ ამან ვერ დამინახოსო?!“

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=59391>

➤ დეშმა⁵ = ა. უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“ (ლშხ.)

ბ. უარყოფითი ნაცვალსახელი „ვერაფერი“ (ზს., ლშხ.)

მაგ.: დაუს დეშმა ხოყირა ქიქანჩუ დოლობშირა (ლშხ. 55) -- დევს ვერ დაურტყამს ზევიდან წისქვილის ქვა.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

მიჩა მუს ესერ დეშმა ხოქუა (ზზ. 301) -- მამაჩემს ვერაფერი უთქვამსო.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

➤ დეშმა⁶ - ა. უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“

ბ. უარყოფითი ნაცვალსახელი „ვერაფერს“ (ლშხ)

მაგ.: ჯედ ლოქ დეშმამ ადეს ამეკა (ლშხ. 80) -- მე აქ ვერ გაგიყვანო.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010DB10&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

იშგენ მავინს დეშმამ ლოქ ხეჩო ქვესროლიად მწრას. - სხვა ბოროტს ვერაფერს უზამს ქვასროლიას კაცს.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010DB10&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

➤ დეშსა⁷

მაგ.: ხოჩა მებურჯდელს ი ხოჩა კოჩად ლუმუჭუკ ჯანარს ნადირ დეშსა ხობდავი ქა ლიშგებს - კარგ მებრძოლ და კარგ რქიან ხარებს ნადირი ვერ უბედავს შეტაკებას.

⁴ იხ. ცხრილი №2

⁵ იხ. ცხრილი №3

⁶ იხილეთ დანართი ცხრილი №4

⁷ იხ. ცხრილი №5

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810E110D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

➤ მადმ⁸

მაგ.: *პმეჩედ მიხელილ ი მადმ ათოკარა ყორვალ.* - წასულა მიხელილი და ვერ გაულია კარები.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

➤ მადრ⁹

მაგ.: *ალეს მავ მეკედე ასოხვიდა მიხა ქორა მარე ი ეხოხ მადრ (\ მადმ) ატახ.* - ამას ყველა მოსული დაუხვდა მისი ოჯახის წევრები და იქეთ ვერ დაბრუნდა.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

➤ მათმ

მაგ.: *ხორვა დენოლაშვდ მათმ ახოთემინა გვის ი ქამეჩედ ედ მეზატემშო.* - უმცროსი გოგოსთვის ვერ მოუთმენია გულს და გასულა <http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D710E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

➤ მახ

მაგ.: *ალეს ფირვ მახ ახოლდელა.* - ამას ძროხა ვერ მოუმწყემსავს. <http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

გეზალუთრა იგვანი, მარ დორას ნანკვრი მახ ათოლაფარე - გერი ტირის, მაგრამ ცრემლებს ძირი ვერ დაუფარავს.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

⁸ იხ ცხრილი №6

⁹ იხ. დანართი ცხრილი №7

➤ მანჩ

მაგ.: ხაჭიმ დავს ბეფშ, მარე მანჩ ათეიდა. - მისდევეს დევეს ზავშვი, მაგრამ ვერ დაეწია.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D10D0100803F210E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

➤ მანჩ

მაგ.: ლაქვე გუისა, ერე "ძინარხოქა დემოხ ლოქ ღური, ძინარს ალე ლოქ ალვე მანჩ ჰხვგაღება, ერქა მარე ნომა ლოქუ ხე!" - თქვა გულში, რომ „დილამდე არსად წავალო, დილას ეს თუ ვერ გავიგეო, მაშინ კაცი არ ვიყოო!”

<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D810E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

➤ მანჩ

მაგ.: ერქა დავ ჟ'ამერედელი ლარმიდ, მარე ჩუ მანჩ ათორმა - მაშინ დევი ასულა დასაქერად, მაგრამ ვერ დაუქერია.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D10D0100803E910E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511>

§2.1.1. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების განაწილება დიალექტების მიხედვით სვანურში

სვანურში ტრადიციულად ოთხი დიალექტი გამოიყოფა: ბალსზემოური, ბალსქვემოური (ზემოსვანური დიალექტები), ლაშხური და ლენტეხური (ქვემოსვანური დიალექტები). სვანური დიალექტების სადემარკაციო ნიშნები ენაში მოქმედი ფონეტიკური პროცესებია, რომლებიც დიალექტების მიხედვით არათანაბრად ნაწილდება. ეს ფონეტიკური მოვლენებია: ხმოვანთა სიგრძე, უმლაუტი და რედუქცია. სამივე ფონეტიკური მოვლენა მხოლოდ ბალსზემოურს ახასიათებს, ბალსქვემოურისთვის უცხოა ხმოვანთა სიგრძე, ლაშხურისთვის - უმლაუტი, ხოლო ლენტეხური დიალექტისთვის მხოლოდ უმლაუტია დამახასიათებელი.

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა განაწილება დიალექტების მიხედვით სხვადასხვაგვარია. ზოგი ნაწილაკი მხოლოდ ერთ კილოში გვხვდება, ზოგი კიდეც ორი ან სამი კილოს კუთვნილებას, მხოლოდ „დეშ“ დასტურდება ოთხივე დიალექტში.

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები სვანურში დიალექტების მიხედვით ასე ნაწილდება:

№	მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები სვანურში	ბალსზემოური დიალექტი	ბალსქვემოური დიალექტი	ლაშხური დიალექტი	ლენტეხური დიალექტი
1	დეშ „ვერ, ვერა“	+	+	+	+
2	დომ „(თუ, რომ) ვერ, ვერა“	+		+	+
3	მშდშ „ვერ, ვერა“ (მადჩ/მათშ)	-	-	-	+
4	მჩჩ „ვერ, ვერა“ (მაჩ, მშდჩ, მშიჩ, მწჩშ)	-	-	-	+
5	დეშსა „ვერ“	-	-	+	-
6	დეშმა = 1. „ვერ“ 2. „ვერაფერი“	(1) -	(1) -	(1) +	(1) -
		(2) +	(2) -	(2) +	(2) +
7	დეშმამ „ვერ“	-	-	+	-

§2.1.2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა სტრუქტურული ანალიზი სვანურში

სტრუქტურული თვალსაზრისით აღნიშნული ნაწილაკები ასე დაიშლებიან:

დეშ < დე „არ“ + შ = „ვერ“

დე - „არ“ = დ + ე (დ - ძირი, საკუთრივ უარყოფითობის მაწარმოებელი ელემენტი;
ე- ხმოვნითი ელემენტი) (თ. შარაძენიძე 1946 : 315)

შ - პოტენციალისის მაწარმოებელი ელემენტი (თ. შარაძენიძე 1946 :314)

დოშ < დო „არ“ + შ = „ვერ“ („თუ ვერ“, „რომ ვერ“)

დო - „არ“ = დ + ო (დ - ძირი, საკუთრივ უარყოფითობის მაწარმოებელი ელემენტი;
ო- ხმოვნითი ელემენტი (თ. შარაძენიძე 1946 : 315)

შ- პოტენციალისის მაწარმოებელი ელემენტი (თ. შარაძენიძე 1946 :314)

მაწ < მათშ < მაღშ < მა + დ(ე) + შ = „ვერ“, „ვერაფრით“

მაღე - „არ“, „არა“ = მა + დ + ე საკუთრივ უარყოფითობის მაწარმოებელი ელემენტი; დ-საკუთრივ უარყოფითობის მაწარმოებელი ელემენტი; ე- ხმოვნითი ელემენტი

შ- პოტენციალისის მაწარმოებელი

„მაღშ და მაწ ერთმანეთის პარალელურად გვხვდება ლენტეხურში. მეორე ფორმა პირველისგან არის მიღებული თანხმოვანთა ჯერ ასიმილაციისა და შემდეგ შერწყმის შედეგად: მაღშ>მათშ>მაწ (შდრ. ქართ. ბედშავი - ბეთშავი - ბეჩავი)“ [შარაძენიძე 1946:314].

დეშსა < დე „არ“ + შ + სა = „ვერ“, „ვერსად“

დე - „არ“ = დ + ე (დ - ძირი, საკუთრივ უარყოფითობის მაწარმოებელი ელემენტი;
ე- ხმოვნითი ელემენტი)

შ - პოტენციალისის მაწარმოებელი ელემენტი

სა - წარმოშობით ნაცვალსახელი, რომელიც სვანურში ადრევე გამქრალა

დეშმა < დე „არ“ + შ + მა = „ვერ“, „ვერაფერი“

დე - „არ“ = დ + ე (დ - ძირი, საკუთრივ უარყოფითობის მაწარმოებელი ელემენტი;
ე- ხმოვნითი ელემენტი)

შ - პოტენციალისის მაწარმოებელი ელემენტი

მა - განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი

დეშმამ < დე „არ“ + შ + მა + მ = „ვერ“, „ვერაფერს“

დე - „არ“ = დ + ე (დ - ძირი, საკუთრივ უარყოფითობის მაწარმოებელი ელემენტი; ე- ხმოვნითი ელემენტი)

შ - პოტენციალისის მაწარმოებელი ელემენტი

მამ - განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი (მიც. ბრ. ფორმა)

თ. შარაძენიძემ შეისწავლა უარყოფითი ნაწილაკები სვანურში და დაასკვნა რომ ამ ნაწილაკთა ორი ჯგუფი გვაქვს: მარტივი და რთული უარყოფითი ნაწილაკები. მეცნიერი აღნიშნავს, რომ საკუთრივ უარყოფით ნაწილაკებს წარმოადგენენ: მა-მო, დე-დო, ნე-ნო. თითოეულ წყვილს თანხმოვნითი ელემენტი ერთი და იგივე აქვს, ხმოვნითი - განსხვავებული. წყვილის თითოეულ წევრს ერთვის ერთი და იგივე ნაცვალსახელი და აქაც პარალელურ ფორმებს ვიღებთ: მაშა-მოშა, დესა-დოსა, ნემ-ნომ და ა. შ. განსხვავება პარალელურ ფორმებს შორის მხოლოდ ხმოვნებში შეინიშნება. პირველ რიგს აქვს ე ან ა ხმოვნები, მეორეს - ო. თუ ხმოვნებს საკუთარი ფუნქცია მოეპოვება, როგორც ეს ირკვევა, მაშინ მარტივი უარყოფითი ნაწილაკებიც დაიშლება: დე=დ-ე, ნე=ნ-ე, დო=დ-ო, ნო=ნ-ო. რაც შეეხება მა-სა და მო-ს, აქ ხმოვნები გრძელია. ჩანს, საკუთრივ უარყოფით ნაწილაკსაც ახლდა თავისი ხმოვანი, სახელდობრ, რომელი, ძნელი გასარკვევია, რადგანაც ა, ო სხვადასხვა ხმოვნის შერწყმის შედეგი შეიძლება იყოს. თუ დე-სა და ნე-ს ანალოგიით ვივარაუდებთ, რომ მეორე ხმოვანი ე იქნებოდა, მაშინ უარყოფით ნაწილაკს უნდა ხლებოდა ა, რომელმაც ერთ შემთხვევაში მომდევნო ე დაიმსგავსა და მოგვცა მა (-მა-ე), ხოლო მეორეში თვით დაემსგავსა მომდევნო ო-ს და მივიღეთ მო (-მა-ო). ამგვარად, უარყოფის აღმნიშვნელად გამოდის: დ, მა და ნ (თ. შარაძენიძე 1946:315).

ქართული ვერ ნაწილაკის სვანური შესატყვისი ნაწილაკების სტრუქტურაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ყველა აღნიშნული ნაწილაკების (დეშ, დოშ, მაშ-მაჩ/მაჩ, მაშ/მათშ, მაჩ/მაჩ, მაჩშ, დეშა, დეშა, მეშამ) აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ელემენტი შ. ხოლო ამ ნაწილაკების პირველი შემადგენელი ელემენტების დე, დო, მაშ-ის მნიშვნელობა ცნობილია: ისინი „არ“-ს გამოხატავენ.

მაშასადამე, ამ ნაწილაკებში მოქმედების შესაძლებლობის სემანტიკა შეაქვს შ ელემენტს და გვაქვს შემდეგი სტრუქტურა:

ნეიტრალური უარყოფითი ნაწილაკი + შ.

თ. შარაძენიძე აღნიშნავს, რომ შ ელემენტის მნიშვნელობა გარკვეულია და ის პოტენციალის კატეგორიას აწარმოებს სვანურში. სწორედ ეს შ გვხვდება მოშ ნაწილაკში, რომელიც სვანურში მეტად გავრცელებულია (თ. შარაძენიძე 1946: 314).

ქ. მარგიანი-სუბარი იზიარებს თ. შარაძენიძის მოსაზრებას შ ელემენტთან დაკავშირებით. მეცნიერი აღნიშნავს, რომ მოშ ნაწილაკის შესატყვისი ქართულ ენაში არ დასტურდება. აღნიშნული ნაწილაკის ფუნქცია არ არის მაინცდამაინც უარყოფა, ის შეიძლება ახლდეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილს და კონსტრუქციაში შესაძლებლობის ქონა-არქონის სემანტიკას განაპირობებს; ზმნას: ხიჩო-მოშ? „გააკეთებ თუ ვერ?/შეძლებ გაკეთებას?“ (შდრ. ხიჩომა? „გააკეთებ? გააკეთებ თუ არა?“), ჰემოშ „თუკი“ (შდრ. ჰე „თუ“)...

„რადგან სხვა ნაწილაკთა სტრუქტურის მეორე შემადგენელი ნაწილი ნაცვალსახელია, შესაძლებელია ამ შემთხვევაშიც (დეშ, დოშ) ნაცვალსახელურ ძირთან გვექნოდნა საქმე. შ-ს ნაცვალსახელურ ძირად მიჩნევად მხარს უჭერს მეგრულ-ჭანური -ს, რომელიც სვანურშიც დასტურდება ზმნიზედით (აშ-ასე, ეშ-ისე), მაგრამ ამ მოსაზრებაზე მაინც უარი უნდა ვთქვათ, რადგან: 1. შ-ს ფუნქცია სრულიად გარკვეულია: იგი პოტენციალის აწარმოებს და 2. არ ჩანს, რომ შ გახმოვანებული იყო; ნაცვალსახელური ძირები კი ხმოვნებით გვევლინებიან“ [შარაძენიძე 1946:315].

ჩვენ ვეთანხმებით თ. შარაძენიძის მოსაზრებას და მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებში (დეშ, დოშ, მდშ-მჩ/მჩ, მდჩ/მათშ, მწჩ/მწჩ, მწშ, დეშსა, დეშმა, მეშმამ) არსებულ შ ელემენტს მივიჩნევთ იგივე ელემენტად, რაც გვხვდება მოშ ნაწილაკში.

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებში არსებული შ ელემენტი შეიძლება მოშ ნაწილაკის ნაშთს წარმოადგენდეს.

დროთა განმავლობაში მოშ ნაწილაკი ფორმათა ცვლის შედეგად შეეზარდა ნეიტრალურ უარყოფით ნაწილაკს და მივიღეთ ნაწილაკები იმ სახით რაც დღეს გვაქვს. მაგრამ რადგანაც შ ელემენტის ფუნქცია ზოგ შემთხვევაში იჩრდილება სინქრონულ

დონეზე შესაძლებელია ვივარაუდოთ უკვე მოშ ნაწილაკდართულ ნაწილაკებზე მოშ ნაწილაკის ხელახალი დართვა, მაგ.:

ემხუ ღუნულდ დემ მოშ ოთოქვთ. - ერთი ხბოც ვერ მოვჰპარე.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=E610E310DC10E310DA10D310&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

- *მა მოდ მეთმი, ამშგაშ ლადი თხერე ი კუმაშ იმთე დო ამჩადხ, დეშმა მოშ ოხუმგერ.* - რა უნდა მჭირდეს, გამოჩნდა დღეს მგელი და საქონელი სად წავიდა ვერ (ვერაფერი) გავიგე.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367>

ჯვინელ ჩიქს ხენდოლ ა მოდე დინას ეჯ მიჩა ლექშეროლ ჰამდ, ქა დეშსა მოშ ყელა ჯარს. - ძველ დროს უნდოდა თუ არა გოგოს ის მისი საქმრო ქმრად, თქმით ვერ ამბობდა უარს.

<http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810E110D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487>

დეშმა, დეშმამ ნაწილაკების ბოლო მა განუსაზღვრელობით ნაცვალსახელს წარმოადგენს. იგი ამჟამადაც აწარმოებს უარყოფით ნაცვალსახელებს სვანურში, ოღონდ მხოლოდ დასახელებულ ნაწილაკებთან დაუკარგავს მას დამოუკიდებლობა (შარაძენიძე 1946:313). ალბათ ამის გამოა რომ ეს ნაწილაკები დამოუკიდებლადაც უარყოფითი ნაცვალსახელის როლში გვევლინებიან.

ლენტეხურში მა ნაცვალსახელს თვისთავადობა მეტწილად შენარჩუნებული აქვს. ამის მაგალითია ის, რომ ამ დიალექტში მდმა „არა“-ს მნიშვნელობით იშვიათად იხმარება, ჩვეულებრივ მას ეფარდება ქართ. არაფერი. პროცესი, რომელიც მდმა-ს ბალსქვემოურში გაუვლია, ლენტეხურში მხოლოდ ახლა იწყება.

დეშმამ-ში მა მიცემით ბრუნვაშია დასმული.

დეშმა=ვერ, ვერაფერი. პირველი მნიშვნელობით ლაშხურში იხმარება, მეორე მნიშვნელობით კი სხვაგანაც გვხვდება. დეშსა=ვერ, მხოლოდ ლაშხურში გვხვდება და იქაც იშვიათად. ზოგჯერ ა.ონიანი დეშსა-ს ვერ-ის პარალელურად ვერსად ზმნისართით თარგმნის. თ. შარაძენიძე ვარაუდობს რომ დეშსა-ს უარყოფითი ზმნისართით თარგმნა

შეიძლება ქართულის გავლენით იყოს გამოწვეული, თუმცა დანამდვილებით ვერ ამბობს.

დემმა, დემმამ ნაწილაკების მა ელემენტი არ იქნება უარყოფითი ნაწილაკი არ, რადგან: 1. მწ-მწ ნაწილაკების ხმოვანი გრძელია ამ შემთხვევაში კი არა, ამასთანავე მა-ს წინ ხმოვანი ივარაუდება, მაშინ როდესაც, უარყოფითი ნაწილაკი ხმოვნით არ იწყება. 2. „მა“ შედის ჰემა(თუ) ნაწილაკში, რომელიც უარყოფითობას არ გამოხატავს. მა ნაცვალსახელი დროთა განმავლობაში მნიშვნელობისგან დაცლილა და ნაწილაკად ქცეული დართვია როგორც ჰე-ს, დე-ს ისე სხვებს.

ეს მა ამჟამად ცოცხალია. იგი დაერთვის რთულ უარყოფით ნაწილაკებს და მისი მნიშვნელობა სრულიად გარკვეულია: დესამა=არარა(არაფერი). რომ მამა-ს და დესამა-ს მა გაგვიგივებინა, გაურკვეველი დარჩებოდა, რატომ ხდება, რომ ერთ შემთხვევაში მას თავისი მნიშვნელობა დაუკარგავს (მამა), ხოლო მეორეში - არა (დესამა).

რაც შეეხება დემსა ნაწილაკში არსებულ -სა ელემენტს, ის წარმოშობით ნაცვალსახელია, რომელიც სვანურში ადრევე გამქრალა. ამიტომ დემსა ბევრად უფრო ადრინდელი ფორმაციისა უნდა იყოს, ვიდრე სხვა ნაწილაკები (თ.შარაძენიძე 1946: 314).

§2.2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა ადგილის საკითხისთვის სვანურში

უარყოფითი ნაწილაკები და მათ შორის მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკები სვანურში ჩვეულებრივ წინ უძღვიან ზმნას, მაგრამ არის შემთხვევები (განსაკუთრებით ლენტეხურში), როდესაც უარყოფით ნაწილაკსა და ზმნას შორის სხვა სიტყვებია მოქცეული:

მაგ.: *დომ ლოქ თვით ფხულე ქა ხაკლიდახ (ლნტ.)* - „თითო თითი არ გაკლდეთო“.

დღსა ესერ დიწრს ხმნეხ-ი? (ზზ. 289 24) - „პურს არ მაჭმევთო?“

შესაძლებელია უარყოფითი ნაწილაკი მოსდევდეს კიდევ ზმნას.

მაგ.: ხულვა ლოქ დესა (ლშხ. 53 32) - „არა მაქვსო.“

წმცვრდ ნოსა (ზზ. 93 10) - „ნუ გამიჯავრდები“ (თ. შარაძენიძე 1946 : 306).

შეიძლება ითქვას, რომ სვანური ქართულისგან განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს უარყოფით ნაწილაკთა ადგილის საკითხთან დაკავშირებით. თუ ქართულში „ვერ“

ნაწილაკის ადგილი მყარია და ის, ყოველთვის წინ უძღვის ზმნას, სვანურში აღნიშნულ ნაწილაკთა შესაბამისი ერთეულების ადგილი არ არის მყარი და ისინი შეიძლება მოსდევდნენ კიდეც ზმნას.

§2.3. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა გამოყენების სფერო სვანურში

სვანურში, ქართულთან შედარებით, უკუთქმითი ნაწილაკები ბევრად მეტია, შესაბამისად, მეტია უარყოფითი ნაცვალსახელებიც, ვინაიდან მათ სტრუქტურაში სწორედ ეს ნაწილაკები შედიან. ამ თვალსაზრისით გამონაკლისს არც „ვერ“ ნაწილაკის შესაბამისი ერთეულები წარმოადგენენ, თუმცა, ნეიტრალური „არა“ ნაწილაკის სემანტიკურ შესატყვისებთან შედარებით, მათი რაოდენობა ნაკლებია.

ქართულში მოქმედების შემდგომი შეზღუდულობის გამომხატველი ყველა უარყოფითი ნაცვალსახელის სტრუქტურა „ვერ“ ნაწილაკის შემცველია. სვანურში კი რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა: საანალიზო სემანტიკა ამ ენაში უმეტესად გამოიხატება სტრუქტურით:

ნეიტრალური უარყოფითი ნაცვალსახელი + ნაწილაკი მოშ

დეშ - „ვერ“ ნაწილაკი (ან რომელიმე სხვა ვარიანტი) კი აღნიშნული ტიპის ნაცვალსახელთა მხოლოდ გარკვეული ნაწილის შემადგენლობაში დასტურდება (ზსვ. **დეშაჲრ** „ვერაჲინ“ (სახ. ბრ.), **დეშაჲრდ** „ვერაჲინ“ (მოთხ. ბრ.), ბზ., ლნტ. **დეშმა**, ბზ. **დეშმამოშ** „ვერაჲერი“) და მათაც პარალელურად ასევე ეწარმოებათ **მოშ**ნაწილაკიანი ფორმები: ზსვ., ლნტ.: **დაჲარმოშ**, ლშხ.: **დარმოშ** „ვერაჲინ“ (სახ. ბრ.), ზსვ., ლნტ.: **დაჲარდმოშ**, ლშხ.: **დარდმოშ** „ვერაჲინ“ (მოთხ. ბრ.), ბზ.: **მამგუეშმოშ**, ბქ.: **მამგუეშმოშ**, ლშხ.: **დესმამოშ** „ვერაჲერი“ ...;

მოშნაწილაკიანი შესაძლებლობის შეზღუდვის გამომხატველი უარყოფითი ნაცვალსახელები, ქართულისებურ სტრუქტურასთან შედარებით, უფრო ბუნებრივი ჩანს, **დეშ** ნაწილაკიანები კი ხელოვნურობისა და სალიტერატურო ენის ანალოგიით შექმნილის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

* * *

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ერთ-ერთი ნაწილაკი სვანურში არის „დოშ“, რომელიც ძირითადად დამოკიდებულ წინადადებებში გამოიყენება.

„...საყურადღებოა ერთი გარემოება: ძირითადი ფუნქცია ო ხმოვნიანი ნაწილაკებისა მათი დამოკიდებულ წინადადებებში გამოყენება უნდა იყოს. ამის შედეგია ალბათ ის, რომ სვანის ფსიქიკაში ო ხმოვნიანი ნაწილაკები თავისთავად, დამოკიდებული წინადადებებისგან გამოყოფილ ოდენობებს არ წარმოადგენენ. თარგმანში დახელოვნებულ სვანებსაც კი უჭირთ ცალკე აღებული ო ხმოვნიანი ნაწილაკებისათვის ქართული შესატყვისების დაძებნა. მათ არავითარი დაფიქრება არ სჭირდებათ დეშა, დოსა, დეშ-ის თარგმნისას მაშინ, როდესაც ისინი ყოყმანობენ დრმა, დოსა ან დოშ-ის გარკვევისას. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობის ნათელსაყოფად იშველიებენ წინადადებებს და, რაც მთავარია, სწორედ დამოკიდებული წინადადებების მაგალითები მოჰყავთ. ასე მაგალითად, დოსა შეიძლება გვითარგმნონ, როგორც „თუ არ“ ან „რომ არ“ [შარაძენიძე 1946:326].

* * *

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა სტრუქტურაზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ეს ნაწილაკები უარყოფითობის მაწარმოებელ ერთ ან ორ ელემენტს შეიცავენ. სწორედ უარყოფითობის მაწარმოებელი ელემენტების რაოდენობა განსაზღვრავს გარკვეულ შემთხვევებში მათ გამოყენებას.

შევადაროთ დეშ „ვერ“ და მაშდშ „ვერ“ ნაწილაკები.

ბეფშ დეშ ანკად - „ბავშვი ვერ (თუმცა შეეძლო მოსვლა) მოვიდა“.

ბეფშ მაშდშ ანკად - „ბავშვი ვერ (ვერანაირად ვერ მოვიდოდა) მოვიდა“.

პირველი ნაკლებ კატეგორიული უარყოფაა, მეორე უფრო კატეგორიული. ჩვენი აზრით, ასეთი ნიუანსური სხვაობის საფუძველი მეორე ნაწილაკში (მად) ორი მატერიალურად განსხვავებული უარყოფითი ელემენტის (მ და დ!) ერთდროული მონაწილეობაა. ერთი და იმავე ელემენტის (მ) გაორკეცება კი მსგავს ნიუანსს ვერ

ანიჭებს ნაწილაკს და, შესაბამისად, თავად კონტექსტს (შდრ. მამა, მამ და მადმა, მად. 1. *ალ მარე ჭაშდ მად მაკუ* - „ეს კაცი ქმრად არ მინდა“ 2. *ლეზვებ მამ მაკუ* - „საჭმელი არ მინდა“).

§2.4. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა შეხამება ზმნურ ფორმებთან სვანურში

წარმოების, ფუნქციისა და სინტაქსური კონსტრუქციების მიხედვით მწკრივები სვანურში ისევე დალაგდებიან სერიებად, როგორც ქართულსა და მეგრულ-ლაზურში.

ვარლამ თოფურიას მიხედვით, სვანურში სამი სერიაა. ამათგან I სერია ორ წრედ იყოფა. I სერია: აწმყოს წრე - აწმყო, უწყვეტელი, I კავშირებითი, მყოფადუსრული, პირობითუსრული; მყოფადის წრე - მყოფადსრული, პირობითსრული. II სერია: წყვეტილი, II კავშირებითი. III სერია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი (თოფურია, 2008 : 97).

ქ. მარგიანმა დაადასტურა კიდევ ორი მწკრივი: პირობით-შედეგობითი I და პირობით-შედეგობითი II; ამრიგად, მათი გათვალისწინებით, მე-3 სერიაში გვაქვს 5 მწკრივი;

დეშ „ვერ“ უარყოფითი ნაწილაკის განაწილების საკითხში ზმნები გარდამავლობის, პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებას არ აჩვენებენ, ამიტომ ყველა მწკრივის ფორმასთან საანალიზოდ ავიღეთ ზმნის მოქმედებითი გვარის, მხოლოდითი რიცხვისა და მესამე პირის ფორმა.

როგორ ნაწილდება **დეშ** (ვერ) უარყოფითი ნაწილაკი სვანური ზმნის პარადიგმაში:

I სერია (მოქმედებითი გვარი)

აწმყოს წრე

აწმყო (მხ. რ; III პირი)

ახტაჟი (დეშ) - **დეშ ახტაჟი** - ვერ ხატავს.

უწყვეტელი (ნამყოუსრული) (მხ.რ., III პირი)

3. ახტაჟუდა (დეშ) - **დეშ ახტაჟუდა** - ვერ ხატავდა

I კავშირებითი (მხ.რ., III პირი)

ახტაჟღედს (დეშ) - *დეშ ხეკვეს ახტაჟღედს* - ვერ უნდა ხატავდეს.

მყოფადუსრული (/შესაძლებლობის აწმყო _ ქ. მარგიანის ტერმინოლოგიით) (მხ. რ; III პირი)

ახტაჟნი (დეშ) - *დეშ ახტაჟნი* - ვერ ხატავდეს შესაძლოა - „ხატავდეს იქნება“ (ვ. თოფურიას თარგმანით) / ალბათ/შესაძლოა ხატავს (ახლა ან მომავალში)

პირობითუსრული (მხ.რ., III პირი)

ახტაჟნოლ (დეშ) - *დეშ ახტაჟნოლ* - ალბათ ვერ ხატავდა „ხატავდა იქნება/ რომ ეხატა, ალბათ ხატავდა“

მყოფადის წრე

მყოფადსრული (მხ.რ., III პირი)

ადხატჷი (დეშ) - *დეშ ადხატჷი* - ვერ დახატავს.

პირობითსრული (მხ.რ., III პირი)

ოდხატჷის (დეშ) „დახატავდა/ რომ დაეხატა, ალბათ დახატავდა“

II სერია

წყვეტილი (ნამყოფირითადი)(მხ.რ., III პირი)

ადხატაჟ (დეშ) *დეშ ადხატაჟ* - ვერ დახატა.

II კავშირებითი (მხ.რ., III პირი)

ადხატჷას (დეშ) - დახატოს(ვერ)

III სერია

თურმეობითი I

ხჷახტაჟნა (დეშ) „თურმე უხატავდა/ახატავდა“ (ვერ)

თურმეობითი II

ლემხატუინლი/ლემხატუინ (დემ) - „ხატავდა თურმე“ (ვერ)

I შედეგობითი (მხ.რ., III პირი)

ხობტაუნა (დემ) - გიხატავს (ვერ)

II შედეგობითი (მხ.რ., III პირი)

ხობტაუნან (დემ) - ეხატა (ვერ)

III კავშირებითი (მხ.რ., III პირი)

ხობტაუნენს (დემ) - ეხატოს (ვერ)

ამრიგად, ზმნის უღლების პარადიგმაში მწკრივებთან დემ „ვერ“ ნაწილაკი სვანურში ისევე, როგორც ქართულში გვხვდება ყველა მწკრივთან.

თავი III

3. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამოხატვის

საშუალებები მეგრულსა და ლაზურში

§3.1. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკი

მეგრულსა და ლაზურში

ქართულის მსგავსად და სვანურისგან განსხვავებით, მეგრული და ლაზური უარყოფითი ნაწილაკების ფორმათა მრავალფეროვნებით არ გამოირჩევა. მეგრულსა და ლაზურს ფორმოებრივად ერთნაირი ნაწილაკი აქვთ, რომელიც მოქმედების შესაძლებლობის უარყოფას გამოხატავს, ეს არის „ვარ“.

„ვარ“ უარყოფითი ნაწილაკის სრული სახეა მეგრულში, რომელიც გამოხატავს როგორც კატეგორიულ (ვამოკო „არ მინდა“), ასევე შესაძლებლობის უარყოფას, პოტენციალის ფორმებთან (ვამაჭკომე „არ მეჭმევა“).

„ვარ“ ნაწილაკის არასრული სახეა „ვა-“ ნაწილაკი, რომელიც „ვარ“ ნაწილაკისგან მომდინარეობს ბოლოკიდური რ-ს ჩამოცილების შედეგად. ამგვარი ურთიერთდამოკიდებულების მიუხედავად, „ვარ“ და „ვა-“ ნაწილაკები განსხვავებული სემანტიკისაა და არასოდეს არ მონაცვლეობენ.

„ვარ“ ნაწილაკს მეგრულში ბოლოკიდური „რ“ ეკარგება, თუკი ზმნას ახლავს; შენარჩუნებულია, თუკი დიალოგში მეორე პირის რეპლიკაშია გამოყენებული; მაგალითად:

ა) *ვამალინე* - „ვერ წამოვალ“

ბ) - *ვალინენო?* - „შემღებ წამოსვლას“

- *ვარ* - „ვერ“.

ლაზურში ძირითადად „ვარ“ ფორმა გამოიყენება.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ნაწილაკი „ვერ“ სემანტიკას გამოხატავს პოტენციალის გამომხატველ ფორმებთან. „*პოტენციალის ზმნური კატეგორიაა; იგი შესაძლებლობას გამოხატავს; რამდენადაც ეს კატეგორია გრამატიკულია, შესაძლებლობის სემანტიკაზე აფიქსები მიუთითებენ.*“

ქართველური ენებიდან პოტენციალის მკვეთრად ჩამოყალიბებული სახე აქვს მეგრულში. აქ ეს კატეგორია ვნებითი გვარის ზმნურ მოდელს იყენებს განსხვავებული აფიქსებით; სათანადო ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანიცა და ორპირიანიც. პირველში აღნიშნულია განყენებულად აღებული შესაძლებლობა, მეორეში – შესაძლებლობა გარკვეულ პირებთან დაკავშირებით, რომელთაც ის მიეწერება.

პოტენციალისი ერთპირიანი ზმნაა:

ო-ჭარ-ე(ნ) – შეიძლება (და)იწეროს, „იწერება“: „ამ ქალაქში მეღნით კარგად იწერება“ ...

პოტენციალისი ორპირიანი ზმნითაა გადმოცემული:

მ-ა-ჭარ-ე(ნ) – მე შემიძლია ვწერო

გ-ა-ჭარ-ე(ნ) – შენ შეგიძლია წერო

ა-ჭარ-ე(ნ) – მას შეუძლია წეროს...

როგორც ამ მაგალითებიდან ჩანს, ერთპირიანი ზმნის პოტენციალისს აწარმოებს *ო* თავსართი და *-ე* ბოლოსართი: *ო* – *-ე*; ორპირიანი ზმნებისას კი – *ა* თავსართი და *-ე* ბოლოსართი: *ა* – *-ე*.

ერთიცა და მეორეც ვნებითი გვარისაა, მაგრამ მეგრულს პოტენციალისის შინაარს-მოკლებული ვნებითიც გააჩნია; ამ უკანასკნელს იგივე თავსართი აწარმოებს, რაც პოტენციალისში გვაქვს, ოღონდ ბოლოსართია სხვა (*-უ*). ამგვარად, სათანადო ვნებითების ფორმულაა მეგრულში: *ო* – *-უ* *ა* – *-უ*:

ო-თას-ე(ნ) – შეიძლება დაითესოს

ა-თას-ე(ნ) – შეუძლია თესოს.

ო-თას-უ-უ(ნ) – ითესება

ა-თას-უ-უ(ნ) – ეთესება, მისთვის ითესება...“ [არნ. ჩიქობავა 1937: 32-33].

ლაზურში პოტენციალისს არა აქვს საკუთარი წარმოება, განსხვავებული ჩვეულებრივი ვნებითისაგან: *ო-ჭარ-ე-ნ* „შეიძლება დაიწეროს“, „იწერება“; *ო-თას-ე-ნ* „შეიძლება დაითესოს“, „ითესება“... აქ მეორდება მეგრული პოტენციალისის ფორმები უცვლელად. გვაქვს მხოლოდ ერთი ფონეტიკური განსხვავება. ბოლოკიდური *-ნ*, მესამე

პირის სუბიექტს რომ აღნიშნავს, ლაზურში ყოველთვის ითქმის, მეგრულსი კი დაჩრდილულია და მხოლოდ ხმოვნის წინ აღდგება.

რაც შეეხება ქართულს, აქ პოტენციალისის წარმოება არნ. ჩიქობავას აზრით, უნდა გამოხატოს ი- - -ი- ერთპირიანი ზმნებისათვის და ე- - -ი- ორპირიანი ზმნებისათვის. თანაც, სუფიქსი -ი- ახალ ქართულში შემონახულია I-სა და II პირში, III-ში კი მის ადგილს -ა იჭერს. არნ, ჩიქობავას შესადაარებლად წარმოდგენილი აქვს შემდეგი მაგალითებიც:

ძვ. ქართ.	ახ. ქართ.		
ვ-ი-წერებ-ი	ვ-ე-წერებ-ი	ვ-ი-წერებ-ი	ვ-ე-წერებ-ი
ი-წერებ-ი	ე-წერებ-ი	ი-წერებ-ი	ე-წერებ-ი
ი-წერებ-ი-ს	ე-წერებ-ი-ს	ი-წერებ-ა	ე-წერებ-ა

დადებითი შინაარსის გამოთქმებთან ერთად, არნ. ჩიქობავა ეხება უარყოფითსაც, სადაც პოტენციალისი საყოველთაოდ ცნობილი მოვლენაა. მისი გადმოცემით, ქართულში უარყოფითი შინაარსის „არ“ ნაწილაკიანმა ზმნამ პოტენციალისის გამოსახატავად „არ“ ნაწილაკი „ვერ“ ნაწილაკით უნდა შეცვალოს, რომელიც გამოხატავს უარყოფას შეუძლებლობის გამო. მეგრულში კი უარყოფითი ნაწილაკების ასეთი ფორმოზრივი განსხვავება არ გვაქვს. უარყოფითი ნაწილაკი იქ ერთია ვა-, რომელიც მნიშვნელობით ქართული „არ“-ის ფარდია. **შეუძლებლობის გადმოსაცემად მეგრული იყენებს პოტენციალისის დადებით ფორმებს და უმატებს ვა- ნაწილაკს** (არნ. ჩიქობავა 1937 : 34).

საბოლოოდ, მეგრულში უცვლელად რჩება უარყოფითი ნაწილაკი (ვა-), იცვლება ზმნა. ქართულში კი უცვლელი რჩება ზმნა და იცვლება უარყოფითი ნაწილაკი „არ“ „ვერ“-ით. მეგრულში პოტენციალისის ზმნა აღნიშნავს, ქართულში – ნაწილაკი (არნ. ჩიქობავა 1937 : 34).

§3.3 . „ვა(რ)“ უარყოფითი ნაწილაკის დაწერილობის საკითხი

„ვარ-“ ნაწილაკის დაწერილობის საკითხი მეგრულში გარკვეულია, იგი ყოველთვის ცალკე იწერება:

✓ „გამეორებისას:

ვარ, ვარ, ვებლორინეჟი (ყიფშ., 174) „არა, არა არ შეიძლება ჩემი მოტყუება,“

✓ *უსრული წინადადების სახით დიალოგისას (კერძოდ II პირის რეპლიკისას):*

ქუჩა მეურქო? – ვარ. „სახლში მიდიხარ? – არა“

✓ *გასუპტანტივებული ვარ ნაწილაკი იძენს ლექსემა „უარის“ მნიშვნელობასაც:*

ვარს გერე „უარზე დგას“ (ქაჯაია, I, 579)“ [ჭ. ქირია და სხვ. 2015 : 743].

„ვა-“ ნაწილაკი ყოველთვის წინ უძღვის ზმნას და ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგად შემდეგ სახეს იღებს: ვე-, ვო-. ამგვარ ფონეტიკურ ცვლილებებზე ყურადღება აქვს გამახვილებული ი. ყიფშიძეს (Кипшидзе 1914), მ. ხუბუას და შემდგომი დროის ავტორებს.

ფონეტიკური ტრანსფორმაციის შედეგები:

„ვა- უარყოფითი ნაწილაკის –ა– ელემენტი მეგრულში ემსგავსება

1. *თავკიდურ ო-ს სრულად და მიღებული ორი ო იქცევა – ა-დ: ვაკო (-ვა+ოკო>ვო+ოკო>ვა=აკო>ვაკო) „არ უნდა“, ვარწყე (ვა+ორწყე) „ვერ ხედავს“.*

2. *თავკიდურ უ ხმოვანს ნაწილობრივ და იქცევა ო-დ: ვოუძირუნ (ვა+უძირუნ) „არ უნახავს“.*

3. *პრევერბისეულ ე ხმოვანს სრულად (სულ ერთია, უძღვის მას წინ ნათხმოვანი, თუ არა): ვემერეს (< ვა მერეს) „არ მისცეს“*

ვეშართე || ვეშართე „არ ავიდა“, „არ ამოვიდა“ || „ვერ ამოვიდა“...

4. *სათავისო ქცევის ან პრევერბისეულ ო-ს ნაწილობრივ:*

ველუ || ვეელუ (< ვა-ილუ) „არ წაიღო“,

ვემნირთედუ (ვა-მინო-ირთედუ) „არ შეისვლებოდა““ [მ. ხუბუა 1942 : 743-744].

„ბეჭდურად გამოცემულ მეგრულ ტექსტებში ვა ნაწილაკი ორგვარი დაწერილობით გვხვდება: ა. ცაგარელი, ი. ყიფშიძე მას ცალკე წერდნენ. შემდეგდროინდელ გამოცემებში კი ის ზმნასთან ერთადაა (გ. კარტოზია და სხვ. 2010):

ა. ცაგარელი, მეგრული ეტიუდები, ტომი I, 1880 წელი.

(1) მუთუნქე ვე მეხვარე, მუთუნქე ვა გუურთე ე ბოშისე (გვ. 5) „არაფერი არ ეშველა, არაფერი არ გაუვიდა ამ ბიჭს“

ი. ყიფშიძე, მეგრული ენის გრამატიკა, 1914 წელი.

მითი ხეს ვე კნიიკართანსია, ინა ვე იბშანს ხართასია (გვ 182)
„ვინც ხელს არ აიკაპიწებსო, ის ვერ აივსებს კალთასო“

ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, ტომი II,

ზღაპრები და მცირე ჟანრები, 1991 წელი (კ. დანელია, ა. ცანავა)

ართი ჯგუნჯგიშა ლობერი ვემკილობე (გვ. 419)

„ერთ სარზე ლობეს ვერ მოღობავო“ ...

ვა- „არ“ ნაწილაკის დაწერილობა მეგრულში მჭიდროდ უკავშირდება მისი ფუნქციური განაწილების საკითხს [ს. გეგეჭკორი 2017 : 10].

§3.4. ვა(რ)- უარყოფითი ნაწილაკის შეხამება ზმნურ ფორმებთან

ამ თვალსაზრისით საინტერესო და საჭირო ნაშრომია ს. გეგეჭკორის „ვა- უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი მეგრულში“ (საბაკალავრო ნაშრომი). „ვა- ნაწილაკიანი ზმნების სერიებისა და მწკრივების მიხედვით დალაგებამ საინტერესო შედეგი მოგვცა, რადგან ეს იძლევა საშუალებას თვალი გავადევნოთ მის სემანტიკურ განაწილებას, კერძოდ, ვა- ნაწილაკით წარმოდგენილი ზმნებისა, რომლებიც ქართულად არ ან ვერ ნაწილაკის საშუალებით გადმოიცემა.

I. არ (ქართული)

ვა- (მეგრული) >

II. ვერ (ქართული)

აღსანიშნავია ისიც, რომ მოცემული მაგალითები ამოკრეფილია 1991 წლის ქართული ხალხური სიტყვიერების II ტომში მოცემული ათი ზღაპრიდან. როგორც ვიცით, ზღაპარს, ზოგადად ზღაპრის ენას, გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, ამიტომაც ჩვენი კვლევის შედეგებს განვიხილავ სიუჟეტური თხრობისთვის

დამახასიათებელი ენობრივი თავისებურების გათვალისწინებითაც [ს. გეგეჭკორი 2017: 20].

ცნობილია, რომ ქართული „ვერ“ ნაწილაკი შესაძლებლობის სემანტიკისაა. მეგრულის ვა- ნაწილაკი თუკი პოტენციალისის ფორმებთანაა მოცემული, სემანტიკურად ქართულ „ვერ“-ს შეეფარდება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში პოტენციალისის ფორმებია გადმოცემული და მიუთითებს უფრო მეტად რომელი მწკრივებისთვისაა ბუნებრივი.

I სერია
1. აწმყო
—
2. უწყვეტელი
(46) მითინი ვაბედდგ ინეფიში გენტხაფასგ „ვერავინ ვ ე რ ბ ე დ ა ვ დ ა მათზე თავდასხმას“ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 240).
3. აწმყოს კავშირებითი
—
4. აწმყოს პირობითი
—
5. მყოფადუსრული
—
6. პირობითუსრული
—
7. მყოფადი
(47) სი ვაგათხილენენია ჩქიმი ცირასქუავა „შენ ვ ე რ მ ო უ ვ ლ ი (დაიცავო) ჩემს ქალიშვილსო“ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 30).
(48) ათენასგ მითგ ვეემინწყენციევე, დუდი ოკო მეპკვათევე „ამას ვინც ვ ე რ ა მ ო მ ი ხ ს ნ ი ს ო , თავი უნდა მოვკვეთოო“ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 32).

8. ხოლმეობით-შედევობითი
(49) მუზარბიი ქედმახედდ ყორშიშე-და, იმი სერცე ნდემეფი ვამეშათინანდესგ „მუზარბიი თუ გადასძახებდა კომკიდან, იმ ღამეს დევები ვ ე რ შ ე ბ ე დ ა ვ დ ნ ე ნ (შესვლას) მის სამფლობელოში ხალხის დასაგლეჯად“ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 38).
9. მყოფადის კავშირებითი
—
10. მყოფადის პირობითი
—
II სერია
11. წყვეტილი
(50) ქიჯანაში კოჩი თეს უსოფუნსგ, მარა კოს ვეეშაწყინგ „ქვეყანა ხალხი (კაცი) ამ [ხმალს] ექაჩება, მაგრამ კაცმა ვ ე რ ა მ ო ა ძ რ ო “ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 14).
(51) ვარიაქე აკა ნდემცეთი ვაგააბედინგ, ფერი შიში ოძირგ „უარი ვერც ერთმა დევმა ვ ე რ გ ა უ ბ ე დ ა , ისეთი შიში ანახვა“ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 30).
(52) ათენეერო მუთუნქუ ვაალოლუუ რაშისგ ე ბოშიშა „ამგვარად, ვერაფერი ვ ე რ უ ქ ნ ა რაშმა ამ ბიჭს“ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 48).
12. მეორე კავშირებითი
(53) ცუდემა მუში დროსგ ვემიაჭიშუანსი, და რკიაფისგ დააჭყანცგ „სახლში თავის დროზე რომ ვ ე რ მ ი ა ს წ რ ო ს , და კივილს დაიწყებს“ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 40).
13. მეორე პირობითი
—
III სერია
14. პირველი თურმეობითი
—
15. მეორე თურმეობითი
—

16. მესამე კავშირებითი
(54) ღორონთქ დოჰყუ სვარია დო ქირი: – ზოთონსია წყარ ვარშუმუდანია, ზისხერო მორძირაფუდანია „ღმერთმა დასწყევლა ყვავი და ქორი: – ზამთარში წყალი ვერ დაგელიოთო, სისხლად მოგჩვენებოდეთო“ (კ. დანელია, ა. ცანავა 1991 : 254).
17. მესამე პირობითი
—
IV სერია
18. მესამე თურმეობითი
—
19. მეოთხე თურმეობითი
—
20. მეოთხე კავშირებითი
—
21. მეოთხე პირობითი
—

საერთო ჯამში, 37 მაგალითიდან, I სერიის ფორმით მოცემულია – 9, II სერიის ფორმით – 27, III სერიის ფორმით – 1, ხოლო IV სერიის ფორმით – არცერთი. აქედან ყველზე ხშირია ზმნა წყვეტილის ფორმით (26). ვა- ნაწილაკი ჩვენს მასალაში არ იყენებს 16 მწკრივის ზმნურ ფორმებს (მონაცემები იხილეთ დანართში – ცხრილი № 3.2.2.1). აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ზღაპრის ტექსტში ვა- ნაწილაკიანი წარმოება, რომელიც ქართულში „ვერ“ ნაწილაკით ითარგმნება, მხოლოდ II სერიისთვის, კერძოდ, წყვეტილისთვისაა დამახასიათებელი (ს. გეგეჭკორი 2017 28-32).

თავი IV

§4. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკების შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი ქართველურ ენებში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდულობას ქართულში გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკი „ვერ“, სვანურში კი ამ ნაწილაკის რამდენიმე ვარიანტი დასტურდება როგორც ერთსა და იმავე დიალექტში, ასევე სხვადასხვა კილოში: დემ, დომ (ბზ., ქსვ.), მადმ-მაჩ/მაჩ, მადჩ/მათმ, მაჲჩ/მაიჩ, მაჩშ (ლნტ.), დეშსა, დეშმა, მეშმამ (ლშხ.), რომლებიც ერთმანეთის ალომორფებია მცირედი ნიუანსური სხვაობით; მათ შორის ძირითადი და სვანური ენის ოთხივე დიალექტში გავრცელებული ნაწილაკია **დემ**. გარდა ჩამოთვლილი ნაწილაკებისა სვანურში არის ნაწილაკი **მომ**, რომელიც დამოუკიდებლად სემანტიკისგან დაცლილია და, შესაბამისად, არც ქართული შესატყვისი იძებნება, თუმცა მისი ფუნქცია სხვადასხვა ენობრივ ერთეულზე დართვისას სწორედ მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდულობის გამოხატვაა.

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფისა და შეზღუდვის გამომხატველ ნაწილაკთა სემანტიკური შესაბამისობის საკითხს ქართველურ ენებში წარმოვადგენთ ცხრილის სახით.

ცხრილი №1

№	ქართული	სვანური	მეგრული	ლაზური	ფუნქცია
1.	ვერ	დემ დომ მადმ მაჩ/მაჩ, მადჩ/მათმ, მაჲჩ/მაიჩ, მაჩშ დეშსა, დეშმა, მეშმამ	ვა(რ)	ვა(რ)	გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით.
2.	ვერა	დემ დომ მადმ მაჩ/მაჩ, მადჩ/მათმ, მაჲჩ/მაიჩ, მაჩშ	ვარი	ვარი	იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს.

როგორც ვხედავთ, პირველი ცხრილი ქართულზე დაყრდნობით არის შედგენილი. ცხრილის მიხედვით განსხვავება არ ჩანს „ვერ“ ნაწილაკის სემანტიკურ შესაბამისობებს შორის სვანურში და გამოდის რომ მათ შორის არანაირი ნიუანსური განსხვავება არ არის. მაგრამ თუ ცხრილს წარმოვადგენთ სვანურზე დაყრდნობით განსხვავებული შედეგი გვექნება.

ცხრილი №2 (სვანურის მიხედვით)

№	სვანური	ქართული	მეგრული და ლაზური	ფუნქცია
1.	დეშ	1.ვერ 2.ვერა	ვა(რ)	1. გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. 2. იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს.
2.	დოშ	1.(თუ, რომ) ვერ 2. ვერა	(ვარ)	1. გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. 2. იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს. 3. ძირითადად გამოიყენება დამოუკიდებელ წინადადებებში
3.	დეშსა	1.ვერ 2.ვერსა დ	ვა(რ)	1.გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. 2. გამოიყენება ზმნიზედის ფუნქციით (ა. ონიანი
4.	დეშმა	1.ვერ 2.ვერაფე	ვა(რ)	გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა

		რი		და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. 2. გამოიყენება უარყოფითი ნაცვალსახელის ფუნქციით
5.	დეშმამ	1.ვერ 2.ვერაფე რს	ვა(რ)	1.გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. 2. გამოიყენება მიცემითი ბრუნვის უარყოფითი ნაცვალსახელის ფუნქციით
6.	მადშ მადჩ მათშ მაჩ მაჩ მაჩშ მაჩშ	1. ვერ 2. ვერა 3.ვერანა ირად, ვერაფრი თ	ვარ	1. გამოხატავს მოქმედებას ან მდგომარეობას, რომელიც მოსაუბრისა და სურვილის ან შეძლებისაგან დამოუკიდებლად ვერ სრულდება გარკვეული მიზეზით. 2. იხმარება კითხვის პასუხად და მთელი წინადადების მაგივრობას სწევს. 3. შეიცავს უარყოფითობის მაწარმოებელ ორ მატერიალურად განსხვავებულ ელემენტს და სხვა ამ ჯგუფის ნაწილაკებთან შედარებით უფრო კატეგორიულ უარყოფას გამოხატავს.

ცხრილიდან გამომდინარე, მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამოხატველ ნაწილაკებს სვანურში სამ ჯგუფად ვყოფთ:

1. დეშ - სრული შესატყვისი ქართული „ვერ“ ნაწილაკისა;
2. მადშ¹⁰, მადჩ, მათშ, მაჩ, მაჩ, მაჩშ, მაჩშ (ლნტ.) - ფონეტიკური ვარიანტები, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად გამოიყენება ლენტეხურში;

¹⁰ მათ საწყისად ჩვენ აღვადგენთ *მადშ^ჲ ფორმას
*მადშ^ჲ>მადშ>მადჩ//მათშ>მაჩ//მაჩ „ვერ“

3. დომ, მადომ, დეშა, დეშმა, მეშამ - ნაწილაკები, რომელთა ფუნქცია მხოლოდ მოქმედების შესაძლებლობის უარყოფა არ არის. აღნიშნული ნაწილაკები ასევე გვხვდებიან უარყოფითი ნაცვალსახელი, ზმნიზედის თუ კავშირის ფუნქციითაც.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამ ნაწილაკთა მნიშვნელობებში თავდაპირველად განსხვავება არ უნდა ყოფილიყო. მაგრამ რადგანაც ისინი დიდი რაოდენობით დაგროვდნენ, შესაძლებელი გახდა, თითოეული მათგანის განსაზღვრულ პირობებში გამოყენებისა და ამდენად ერთი ჯგუფის (შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი) ნაწილაკებმა სხვადასხვა მნიშვნელობითი ნიუანსი მიიღო.

დასკვნა

„ვერ“ მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკის მნიშვნელობის ანალიზმა და კვლევამ, მისი შესაბამისობების განხილვამ და დაჯგუფებამ ქართველურ ენებში საინტერესო ენობრივი სურათი წარმოაჩინა.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული, სვანური, მეგრული და ლაზური ენები მიუხედავად მათი ერთიანი გენეტური წარმომავლობისა, მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებთან დაკავშირებით განსხვავებულ სურათს გვიჩვენებენ.

1. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფას ქართულში გამოხატავს უარყოფითი ნაწილაკი ვერ, მეგრულსა და ლაზურში ვა(რ), ხოლო სვანურში უარყოფითი ნაწილაკები - დეშ, დოშ (ბზ., ქსვ.), მადშ-მან/მან, მანდ/მანთშ, მანჩ/მანიჩ, მანჩ (ლნტ.), დეშსა, დეშმა, მეშმამ (ლშხ.).¹¹

2. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკებთან ერთად ქართულში გვაქვს ნეიტრალური უარყოფის გამომხატველი - არა და კატეგორიული - ნუ. ქართულის მსგავსად სვანურშიც უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა ფორმოებრივ განსხვავებული სამი ჯგუფი გვხვდება, თუმცა მათი რაოდენობა ქართულთან შედარებით ბევრად მეტია¹².

მეგრულსა და ლაზურში, განსხვავებით ქართულისა და სვანურისაგან, უარყოფითი ნაწილაკების ასეთი განსხვავება არ ჩანს. უარყოფითი ნაწილაკი იქ ერთია ვარ (//ვა), რომელიც გამოხატავს კატეგორიულ და შესაძლებლობის უარყოფას (პოტენციალისის ფორმებთან).

მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გადმოსაცემად ქართული და სვანური იყენებს ნაწილაკს, ხოლო მეგრული და ლაზური იგივე მნიშვნელობას ზმნით

¹¹ მათგან ქართული „ვერ“ ნაწილაკის ზუსტი შესატყვისი ფუნქციურად არის მხოლოდ „დეშ“.

¹² (მან (ლშხ.), მამა(ბქ.), მამ(ა) (ლნტ.), მან(ა) (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მან(ე) (ბქ.), მან(ე) (ლნტ.), მან(ე) (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მან(ა) (ზს.), მან(ა) (ლნტ.), მან (ლშხ.), მან(ა) (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მან(ე) (ბქ.), მან(ე) (ბზ., ლშხ., ჩოლ.), მან(ა) (ბქ.), მან(ა) (ჩოლ.), დემ (ბქ.), დემა (ლნტ.), დემე (ბქ.), დემეგ (ბქ.), დესა/ვა (ლნტ.), დეს(ა) (ბზ., ქს.), დემ(ა) (ბზ., ლშხ.), დემამ (ბზ., ლშხ.), დემის(ბქ.), დემის (ბზ.), ბაი/ბაა (ლხმ.), „არ, არა“...; მანდშ-მან/მან (ლნტ.), მანდ/მანთშ (ლნტ.), მანჩ/მანიჩ (ლნტ.), მანჩ (ლნტ.), დეშ (ზს., ქს.), დეშსა (ლშხ.), დეშმა (ლშხ.), მეშმამ (ლშხ.), დოშ (ბზ., ქს.), „ვერ“...; ნო (ზს., ლნტ.), ნოსა (ლნტ.), ნო ს(ა) (ბზ., ლშხ.), ნომ(ა) (ბქ., ლნტ.), ნო მ(ა) (ბზ., ლშხ.)/ნუმ(ა) (ბზ., ლნტ.)/ნემ(ლნტ.)/ნემ(ა) (ზს.), ნომმა (ზს.), ნომის (ლნტ.), ნო მის (ლშხ.), ნომეგ (ბქ.), ნოს(ა) (ბზ.), ნე (ბქ.), ნემ (ლხმ.), ნემეგ (ბქ., ლხმ.) „ნუ“... (მ. სადლიანი 2013: 46).

გამოხატავს. მეგრული და ლაზური ნაწილაკებს არ ასხვავებს, რადგან საჭირო განსხვავება ზმნაშია მოცემული.¹³

3. სვანურში მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკთა მრავალფეროვნების ორი მიზეზი გვაქვს: 1. ფონეტიკური ვარიაციები 2. დამატებითი ფუნქციების შეთავსება.

4. შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკის ადგილი ქართულში მყარია, ის ყოველთვის წინ უძღვის ზმნას. იგივე სიტუაციაა მეგრულსა და ლაზურში. ხოლო სვანურში ნაწილაკის ადგილი არ არის მყარი, ის შეიძლება უსწრებდეს ზმნას ან მოსდევს კიდეც მას.

5. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველი ნაწილაკს „ვერ“ ქართულში დამოუკიდებელი ელემენტის სახე აქვს და ცალკე იწერება. ქართულის მსგავსად სვანურში აღნიშნული სემანტიკის ნაწილაკები ცალკე იწერება. მეგრულსა და ლაზურში კი შეიძლება ცალკეც დაიწეროს და ზმნასთან შეზრდილადაც.

5. ზმნის მწკრივთა სისტემაში განაწილების საკითხში ქართული ვერ და სვანური დემ ერთნაირად ნაწილდება. მეგრულსა და ლაზურში ვა- ნაწილაკიანი წარმოება, რომელიც ქართულში „ვერ“ ნაწილაკით ითარგმნება, მხოლოდ II სერიისთვის, კერძოდ, წყვეტილისთვისაა დამახასიათებელი.

6. მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკს „ვერ“ ქართულში ხშირად შეიძლება მეორე უარყოფითი ნაწილაკი, ზმნიზედა ან ნაცვალსახელი მოსდევდეს ე. ი. გვაქვს ორმაგი უარყოფა.

სვანურში, მეგრულსა და ლაზურში მხოლოდ ცალმაგი უარყოფა გვაქვს და შესაბამისად არ შეიძლება მოქმედების შესაძლებლობის უარყოფის გამომხატველ ნაწილაკს მოსდევდეს სხვა უარყოფითი სიტყვა.

¹³ ვა ჭარუნს... ვა აკეთენს არ წერს, არ აკეთებს
ვა აჭრე(ნ)... ვა აკეთინე(ნ) ვერ წერს, ვერ აკეთბს... მეგრული და ჭნური უარყოფით ნაწილაკებს, როგორც ვნახეთ, არ ასხვავებს, რადგანაც საჭირო განსხვავება ზმნაშია მოცემული. ამის მიხედვით ართულისათვის ვნებითი გვარის ზმნებთან არ უარყოფითი ნაწილაკია გამოყენებული ხშირად იქ, სადაც ვერ ნაწილაკი იყო მოსალოდელი. რატომ? ალბათ, იმიტომ რომ ზმნაში იგრძნობა პოტენციალისი (მსგავსად მეგრულისა) (არნ. ჩიქობავა 2010 : 276)

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ადვამე, 2013 - მ. ადვამე: უარყოფის სისტემა ქართულ ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2013, 48-53 გვ.
2. გეგეჭკორი, 2017 - ს. გეგეჭკორი: „ვა- უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი მეგრულში“, თბილისი, 2017, საბაკალავრო ნაშრომი, -76 გვ.
3. ზექალაშვილი, 2004 - რ. ზექალაშვილი: ქართული ენის მართლწერის საკითხები თბილისი, 2004, 122-125 გვ.
4. თოფურია, 1967 - ვ. თოფურია: სვანური ენა, შრომები I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2008, -379 გვ.
5. თოფურია, 2002 - ვ. თოფურია: ორმაგი უარყოფა ქართულში, შრომები II, თბილისი, 2002, 304 – 330გვ.
6. იმნაიშვილი, 1953 - დ. იმნაიშვილი: უარყოფითი ნაცვალსახელები და უარყოფითი ზმნისართები იბერიულ-კავკასიურ ენებში, იკე, IV, თბილისი 1953, 53-71 გვ.
7. კარტოზია, გერსამია, ლომია, 2010 - გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია: თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2010, -692 გვ.
8. ლომია, 2013 - მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბ., „უნივერსალი“, 2005, -235 გვ.
9. ლომია, 2013 - მ. ლომია: უარყოფითი და დადასტურებითი ნაწილაკების ფუნქციური განაწილების პრინციპები მეგრულში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2013, 221-231გვ.
10. მარგიანი-სუბარი, 1978 - ქ. მარგიანი-სუბარი: უარყოფითი ფორმების წარმოება ქართველურ ენებში, თბ., (სადიპლომო ნაშრომი, ხელნაწერი), 1978, -65 გვ.
11. მარგიანი-სუბარი, 2008 - ქ. მარგიანი-სუბარი: ზემოსვანურ დიალექტთა მორფოსინტაქსური ანალიზის ზოგადი ასპექტი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბილისი, 2008-2009, -251გვ.
12. მარტიროსოვი, 1964 - ა. მარტიროსოვი: ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1964, -402გვ.

13. მიქელაძე 2000 - მ. მიქელაძე, ქართული უარყოფის სისტემისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი X, 181 – 185, თბ., 2000, 181-185 გვ.
14. ონიანი, 1998 - ა. ონიანი: სვანური ენა, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამ-ბა, თბ., 1998 წ. -284 გვ.
15. სარჯველაძე, 1997 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, ძვ. ქართული ენის კათდრის შრომები I, სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამ-ბა, თბ., 1997წ.
16. საღლიანი, 2013 - მ. საღლიანი: ნეგაციისათვის სვანურ ენაში, XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თსუს გამომცემლობის სტამბა, თბ., 2013, 45-47გვ.
17. ქირია, ეზუგბაია, მემიშიში, ჩუხუა, 2015 - ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I. მორფოლოგია, თბ., გამომცემლობა მერიდიანი, 2015, -1070 გვ.
18. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები III, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1980, 655გვ.
19. შარაძენიძე 1946 - თ. შარაძენიძე: უარყოფითი ნაწილაკები სვანურში, იკე, ტ.I, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. გამ-ბა, თბ., 1946, 289-327 გვ.
20. ჩიქობავა 1936 - არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1936., -152 გვ.
21. ჩიქობავა 2010 - არნ. ჩიქობავა, პტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში, შრომები II, თბილისი, 2010, 276 – 286გვ.
22. ჭუმბურიძე 2007 - ზ. ჭუმბურიძე, ლ. ნიჟარაძე, რ. ქურდაძე: სვანური ენა, გამ-ბა „პეტიტი“, თბ., 2007, -387 გვ.
23. ჭუმბურიძე 1970 - ზ. ჭუმბურიძე, უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების სტილური თავისებურებანი, ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 2, თბ., 1970, 41-46გვ.
24. ხუბუა, 1942 - მ. ხუბუა, უარყოფითი ნაწილაკი ვა- მეგრულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 7, 1942, -745 გვ.

25. ჯღარკავა 2015 - გ. ჯღარკავა: უარყოფის გამოხატვის გრამატიკული მოდელისათვის მეგრულში, ხელნაწერი, თბილისი, 2015 (იბეჭდება კათედრის შრომებში)
26. ჯორბენაძე 1984 - ბ. ჯორბენაძე, უარყოფის გამომხატველ ფორმათა ნაირსახეობისათვის ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, VI, თბ., 1984, -353 გვ.
27. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი გრანტის ფარგლებში შესრულებული პროექტები: „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში (2015 წ.), „უარყოფის გამომხატველ მოდელთა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი დიაქრონულ და სინქრონულ დონეზე ქართველურ ენებში (2016 წ.).
28. И. Кипшидзе, Грамматика Мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб, типография императорской академии наукъ, 1914, -424 с.
29. Lomia, Margiani 2016 –M. Lomia, Q. Margiani, Why is not Double Negation Attested in Unwritten Kartvelian languages?

დანართი

ცხრილი №1

<p>დეშ - „ვერ“ http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=E610E310DC10E310DA10D310&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367</p>	
<i>ემხუ ღუნულდ დეშ მოშ ოთოქვთ</i>	ერთი ხბოც ვერ მოვჰპარე.
<i>ემხვი ღუნულდ დეშ ჯიბირა. - Ни одного теленка не мог ты зарезать -</i>	ერთი ხბოც ვერ გამოგიკლია.
<i>დეშ ჯიბაჟახ აბჯრიშ ჩიხხილდ! - Не могли узнать звука доспехов -</i>	ვერ გაგიგიათ აბჯრის ხმაური.
<i>მიჟ ლაწადიდ დეშ ხეროლე. -</i>	მზე ვერ ჰყოფნის სანათებლად.
<i>მურზას ალა დეშ ხობაჟა. -</i>	მურზას ეს ვერ გაუგია.
<i>ლეღვილდ მიჩა დეშ ლოხმამა.</i>	- მისი ხორცი ვერ შეუჭამია.
<i>მი ჟიბიანის დეშ ხვიგენი. -</i>	მე ჟიბიანში ვერ დავდგები.
<i>გზავრობ ხოჩა დეშ ღალ გვერა! -</i>	მგზავრობა კარგი ვერ(არ) გვექნება!
<i>ფათულ ალას დეშ ათკვარნედ. -</i>	მას ბეწვი(ც) ვერ დააგდებინეთ.
<i>ქირსაშ სეფისკვერს დეშ ხვიშგედე! - ოსპის სეფისკვერს ვერ ვიკადრებ!</i>	ოსპის სეფისკვერს ვერ ვიკადრებ!
<i>ფათულდ ამნარ დეშ გვიკიჩა. -</i>	ამით ბეწვიც ვერ გავაყრევინეთ ("ავგიღლეჯია").
<i>თოყიშ დაგრას დეშ ახჯიჩედ! -</i>	თოყის სიკვდილს ვერ მოინელებთ!
<i>ამჟი ალა დეშ იგნოლე! -</i>	ასე ეს ვერ გაჩერდება!
<i>ამიშ თერაღ ამ დეშ იგნიხ. -</i>	ამის თვალები ასე ვერ გაჩერდებიან.
<i>ნაფასს მიშგვა ქა დეშ ხოსაჟხ. -</i>	ჩემს საფასურს თავს ვერ ართმევენ ("ვერ უბრუნებენ"),
<i>ჟეგმარ აგითე დეშ ჯიდებ. -</i>	ჩეგემლებს შინ ვერ მიჰყავთ.
<i>- ად, სი თავბეჟ, დეშ ნიჩდენი! -</i>	- ა, შე თავბეჟ, ვერ წაგვიხვალ!
<i>ჩუ ღალ მიან დეშ ლგენღოხვი: -</i>	მე ვერ დავმდგარვარ:
<i>ამჟი ლიფუსს დეშ ხვასკანთედ: ვოდ დო ხოგემდ ბარჯარს კიჩხარდ.</i>	- ასე ბატონობას ვერ გავაწყობთ: ვიდრე მხრებს კიბედ არ შევუდგამთ.
<i>ლითოფ ლატლარდ დეშ ოთბანდვებ. -</i>	თოფის სროლა ლატალელებმა ვერ გაუბედეს.
<i>ლარტყანგნჩუ დეშ ჯაზარედ! -</i>	წელს ქვემოთ ვერ დაგზოგავთ!
<i>ვიცილი-მაცბილს ცხას დეშ ხანტმედ! -</i>	ვიცილი-მაცბილს ფრჩხილს ვერ აძრობთ!
<i>ამჟი ნან მინს დეშ ლოგჭენიდ -</i>	ასე ჩვენ მათ ვერ გავუძლებთ.
<i>დეშ ხოჩდენი ამშელდ ამახვს! -</i>	ვერ გაექცევი ამდენ მტერს!

ცხრილი №2

<p>დომ http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310DD10E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=59391</p>	
<p>ჰე მირ ამნემ დომ ამჰვედის თვეფ ი დაშნანდ ისგუ მი მანც!</p>	<p>- თუ ამან ვერ გამყიდოს, შენი თოფი და ხმალი მე მქონდეს!</p>
<p>- დედე მიშგუ, ნომ ჯაყლონი, თერანოს ხვანფშედე ეჩითანეს, ეშხუ ლისგდი დომ ამჩეშახ -</p>	<p>დედა ჩემო, ნუ გეშინია, თვალებს დავატრიალებ იმისთანას, (რომ) ერთი შეხედვა ვერ მომასწრონ.</p>
<p>- ამჟი მი ღალ სი დემ ჯუფშედე, ლელანტდ ლახე დომ ამსყოლი. -</p>	<p>- ასე მე ვერ გაგიშვებ, საყვარლად თუ არ გამირიგდები.</p>
<p>ხოჩა ლაქუნუ ჯარხ, ხოჩა ჭიშხუ ჯიგტორახ ნიშგუთედ, სახ დომ აჯხუთენხ, ქრისდე ღერბეთუ ჯატხეხ, ეჩასუ ხანჯრა ისგუედ ქუინ, შენდბაუ ჯარხ. -</p>	<p>კარგი სულეთი გქონოდეთ, კარგი ფეხი დაგეტოვებინოთ ჩვენთვის, წესი თუ ვერ შეგისრულეთ, ქრისტე ღმერთს ეზლოს თქვენთვის, იმას ებარებოდეს თქვენი სული, შეგინდოთ.</p>
<p>ლეგდმერდე ღალ ლახ ჟი დომ იხტროტპლ ი ჩუ იდგარი, ქორისგამ მანგ ლიგტინის ი ლილჰანლს იბნეხ.</p>	<p>- ავადმყოფი თუ ვერ იკეთებს და კვდება, სახლში ყველა ტირილს და გოდებას იწყებენ.</p>
<p>ლახ დომ ხეჭმენი, ეჩქას მერმა ფიშუდეხ, კანხთეჟი დერტანდ ჟანტქემნი, ეჯა ჟი ხანჯტრე ჯატარს ი ლექტანტ აკტანე. -</p>	<p>თუ ვერ გაყვება, მაშინ სხვას გაუშვებენ, ბოლომდე ვინც გაყვება, ის მოთხრის ჯვარს და ქვემოთ ჩამოაგდებს.</p>
<p>-- ჰე მოშ ეჯკანლიბ აგის ათპეჟნი, ერე ჟი დომ აჯთხელნე, ეჩქას ისგუ ხეხუ ხუირა; ჟემომ აჯთხელნე, ეჩქას ჩუ ჯადგარი! -</p>	<p>თუ ისეთ ადგილას დაიმალეები, რომ ვერ გიპოვი, მაშინ შენი ცოლი ვიქნები, თუ გიპოვი მაშინ მოგკლავ.</p>
<p>ჰყინტს აჯად ათყალუნდა: "იმე როქ ათუპეჟნი ეჯკანლიბ აგის, ერე ამნემ ჩუ დომ ემწუენე?!"</p>	<p>- ბიჭს კვლავ შეეშინდა: „სად დავიმალო ისეთ ადგილას, რომ ამან ვერ დამინახოსო?!“</p>
<p>ხელწიფდ ოხზგზე, ერე "ეჩი მონწირს [ესერ] ჰე დომ ოთხიზნა, ეჩქას სახელწიფი ხენსგა ისგუედ ლესუ!" -</p>	<p>მეფემ შეუთვალა, რომ „მის მომრევს თუ ვერ გაგზავნიდა, მაშინ სახელმწიფოს ნახევარი შენი იყოსო“.</p>
<p>-- მანდ ესერ გარჯ ხერა? იმლა ესერ დომ ოთხუია? -</p>	<p>ვაი თუ ცუდად არის? რატომ ვერ წაუყვანია?</p>

ცხრილი №3

დეშმა	
http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=58367	
დაუს დეშმა ხოყირა ჟიქანჩუ დოლობშირა (ლშხ. 55) --	დეეს ვერ დაურტყამს ზევიდან წისქვილის ქვა.
მიჩა მუს ესერ დეშმა ხოქუა (ზზ. 301) --	მამაჩემს ვერაფერი უთქვამსო.
იშგენ დეშმა ადბადუე (ზზ. 280)	-- სხვა ვერაფერი გაბედა
ალ ჭყინტგლდას დეშმა ოლგონვედ. – Мы с ним ничего не могли сделать. -	ამ ბიჭებს ვერაფერი მოუგონეთ.
დეშმა ხაყერ გორვაშიშ ჟაჰდ; -	ვერაფერი უყო გორვაშის ზვავმა;
ათხად ლიშდალეშ დეშმა ანსახხ, -	აქამდე ომისა ვერა მოახერხეს,
დოლ-ჰებუდს ლიშდალეშ დეშმა ჩვემინ. -	დოლ-ჰებუდში ომისა ვერაფერი ქნა
ქორთე ონტუ მეშხე მაროლ, აჯნემ ხაფხეჟ ი ჟადიე ჰა ჩუ დეშმა ახვმგერ. -	სახლში მოვიყვანე შავი კაცი, ამან სტაცა და აიყვანა სად ვერაფერი გავიგე.
- მან მოდ მეთმი, აშშგაზ ლადი თხერე ი კუმაშ იმთე დო აშჩადხ, დეშმა მოშ ოხუმგერ. -	რა უნდა მჭირდეს, გამოჩნდა დღეს მგელი და საქონელი სად წავიდნენ ვერ (ვერაფერი) გავიგე.
ალ ჯუეგ იმთე დო აჩადხ, დეშმა ანმეგრე მგლდედ. -	ეს ჯოგი სად წავიდა ვერ გაიგო მწყემსამ.

ცხრილი №4

დეშმამ	
http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810DB10D010DB10&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487	
<p>ჯედ ლოქ დეშმამ ადეს ამექს (ლშხ. 80)</p>	<p>-- მე აქ ვერ გაგიყვანო.</p>
<p>იშგენ მავინს დეშმამ ლოქ ხეჩო ქვესროლიად მწრას.</p>	<p>- სხვა ბოროტს ვერაფერს უზამს ქვასროლიას კაცს.</p>
<p>გუნ ერ ჩვედმეჩან, დეშმამ ხოჯდა -</p>	<p>ძალიან რომ დაბერდა, ვერაფერს მოუტანდა ხოლმე.</p>
<p>ნად ლოქ დეშმამ გვიშვრინე ი დემომ ლაშგ-ლაყელს მოშსამამ ხოშვრინე ხოლა თე`დაყბა.</p>	<p>- ჩვენ ვერაფერი გვაწყენს და ვერც მეწველ-ამოსაყვანს ვერაფერი აწყენს ცუდი თვალიდან.</p>
<p>ნაცარქექჟად ხექქ: ერე "ჯედ ლოქ დედს ხოგდური, ოდო ჯედ ლოქ დეშმამ ადეს ამე ქა".</p>	<p>ნაცარქექჟიამ უთხრა: რომ ის ცას კიდებს, თორე მას ვერაფერი წაიყვანს აქედან.</p>

ცხრილი №5

დეშსა	
http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=D310D410E810E110D010&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=63487	
<p><i>ეჩანლო ლეკარ დეშსა ანკადხ ლაშხთე, დეთაძე წერეთლარ მოშსა ანკადხ ყანსავი მაყალშვ. -</i></p>	<p>შემდეგ ლეკები ვერ მოვიდნენ ლაშხეთსი, ვერც წერეთლები მოვიდნენ ყანსავის შიშით.</p>
<p><i>მაგ ლოქ ეშხვარ ხეჯონიხ, ჯეე ლოქ მიხ დეშსა ათერ, მარა ჯეე ლოქ ჩაფლარს ლეიდეს ლგსიპდ ი ეჩისუ ლახრმ გუ" -</i></p>	<p>ყველა ერთმანეთს ემსგავსებიან, ის მას ვერ იცნობს, მაგრამ ის ფეხსაცმელებს ჩაიცვამსო უკუღმა და იმას მისცეს გულიო.</p>
<p><i>ჯკინელ ჩიქა ხენდოლ ა მრდე დონას ეჯ მიჩა ლექშმეროლ ჭაშდ, ქა დეშსა მოშ ყგლა ვარს. -</i></p>	<p>ძველ დროს უნდოდა თუ არა გოგოს ის მისი საქმრო ქმრად, თქმით ვერ ამბობდა უარს.</p>
<p><i>ჩვესჰოდანე ქალალო-ბ ხენდონ ერე "ჯეე ლოქ სერ იჯალადედ დეშსა ხეთხნი მიჩ". -</i></p>	<p>წაიკითხა ფურცელი და ეწერა, რომ იმას არასდროს მოძებნის მას.</p>
<p><i>ქანტახ მიჩა ბინათე, ლაყვრა დეშსა ხოგიჭ დაკოფს, დეთაძე სკამ. -</i></p>	<p>გამობრუნდა თავის ბინაში, საწოლი ვერ უზღლებს იაკოფს და ვერც სკამი.</p>
<p><i>ხოჩა მებურჯდეღს ი ხოჩა კოჩად ლუმუჭვ ჯანარს ნადირ</i></p>	<p>დეშსა ხობდავი ქა ლიშგებს - კარგ დანჯახებელს და კარგ რქიან ხარებს ნადირ ვერ უბედავს შეტაკებას.</p>

ცხრილი № 6

მადმ	
http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD=DB10D0100803D310E810&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511	
ჩვათაპინტახ შუკვარ ი მადმ (var. მად დემ) აშეჩედხ.	- გაფანტიათ გზა და ვერ წასულან.
შუკვს მადმ ათალაკახ აჯახ. -	გზას ვერ წაწყდომიან ისევ.
გაჩ ცხვენჟინ ხაღვენახ, ჩუ ლიკდე მადმ (\ მადჩ) ახომეკერახ, ჯან ათხოდახ ცხვენხოჟი, ჩვათოზიახ ცხვენჟი. -	დანა სხვენზე ჰქონიათ, ჩამოტანა ვერ გაუგიათ, ხარი წაუყვანიათ სხვენზე, დაუკლავთ სხვენზე.
ქახეცხაპ გირტან, მარე ყორ მადმ ახოთხე ი ლაიტული. -	შემოუარა ირგვლივ, მაგრამ კარი ვერ უპოვა და დაიძახა.
"იმნარ ლოქ იგვანი?" "იმნარ ი ამჟი ი ამჟი ლოქ ლახაჩვემნა ი მადმ ლოქ ათოყვილა ქა". -	რატომ ტირიო? რატომ და ასე და ასე გაუკეთებია და ვერ მოუმორებია.
მარე კვაჭინაი გამ მადმ ახოკიდახ. -	მაგრამ (კვაჭინას) გემო ვერ აულიათ.
მეტ საშვალობა მად ხულვა სერ, ეჯკაღის დემგვაშ მოშ ხაყლე, ერე ამნემ ჟი მადმ ანასყას. -	მეტი საშუალება არ აქვს აწი, ისეთს ვერაფერს ეუბნება, რომ ამან ვერ გააკეთოს.
ცისკარიდ, გაცხად მადმ ადირმე თვეთვენე დერსკნ, სკა ხაფხეჭ მეშეხე დერსკნს. -	ცისკარმა მართლა ვერ დაიჭირა თეთლი ჯიხვი, სტაცა შავ ჯიხვს.

ცხრილი №7

მანძი	
http://titus.fkidg1.unifrankfurt.de/database/titusinx/titusinx.asp?LXLANG=1023&LXWORD =DB10D0100803D310E910&LCPL=1&TCPL=1&C=H&LL=64511	
<p>ალეს მანგ მეკედე ასოხვიდა მიჩა ქორჰ მარე ი ეროხ მანძი (\ მანძი) ატახ. -</p>	<p>ამას ყველა მოსული დაუხვდა მისი ოჯახის წევრები და იქეთ ვერ დაბრუნდა.</p>
<p>ამედსა (\ ამედსკა) ვოქერ ლოქარი ი გე ლოქ მანძი (\ მანძი) ათასკვდა ი ნოთი ლოქ მოშ გე ათასკვდდეს, მარე ლერექვალ ლოქ ქანდუყვი! -</p>	<p>ამაში ოქრო არისო და ის ვერ ჩაეტიანო და იქნებ ის ჩაეტიოსო, მაგრამ ტანსაცმელი გაიხადოსო.</p>
<p>ხორვა დენოლანშვდ მანთშ ახოთემინა გვის ი ქანმეჩედ ედ მებანტეიმხო. -</p>	<p>უმცროსი გოგოსთვის ვერ მოუთმენია გულს და გასულა იმასთან.</p>
<p>აღე მერზე ჩანს ქა ლოქ ლახინე. მარე აჯალ ლოქ ერ მანთშ (\ მანშ) აჩეს. -</p>	<p>აბა მეორე ცხენს მისცემსო, მაგრამ ისევ რომ ვერ წავიდეს.</p>
<p>ალეს ფირვ მანშ ახოლდეღა. -</p>	<p>ამას ძროხა ვერ მოუმწყემსავს.</p>
<p>გეზანლუთრა იგვანი, მარ დორანს ნანკერი მანშ ათოლაფანრე -</p>	<p>დერი ტირის, მაგრამ ცრემლებს ძირი ვერ დაუფარავს.</p>
<p>-- აღუ ლოქ, მარ მიჩ ლოქ ერ მანშ (\ მანძი) ხოთხა ცხვად ი ლემესკ, ეჩანლო გე ლოქ აშეჩედლი ი ლვერ ლოქ მიჩანშვ ათოცვირა. -</p>	<p>დიახო, მაგრამ მას რომ ვერ უშოვიაო ქვაბი და ცეცხლი, მერე ის წასულაო და იარადი მისთვის დაუტივებიაო.</p>
<p>ითხანუნებ ალ განს მაჯაქა, მარე მინე ლანძხვა მანშ ანგანხ. -</p>	<p>ისვამენ ამ დანას მაჯებზე, მაგრამ მათი საცოლეები ვერ ადგნენ.</p>

ქადაგვანრხ ბადრიდ ი უსუპდ, მარე ერეხენ მან ანდირმეხ.	- გადააგდეს ბადრიმ და უსუპმა, მაგრამ იქედან ვერ დაიჭირეს.
ქა ლახვემ ედ დენა ი რანშვ ლანდი, ნოთი ლოქ მან ლახვეგექს ჟი. -	მისცა ის გოგოც და რასიც, იქნებ ვერ გაჩერდესო.
ცუგუ ხუიუს მან ათახუიდა (ლნტ.) --	ცუგუ მისახვედრს ვერ მიხვდა.
ხუნდდინ მიშიდა ქემარანო მიშკუტი გუმილოჟი, მარე მან ახუალუან (ლნტ.) --	ბევრჯერ გადმომიყრია ცრემლები ჩემი ძმის გამო (ჩემს ძმაზე), მაგრამ ვერ გავაცოცხლე.
დენად ლიდეცხუნე მან ლახობედანუე ამირანს (ლნტ. 276) --	ქალიშვილმა გაღვიძება ვერ გაუბედა ამირანს.
- სხვას თვითონ ინაწილებენ მონაზვნები. კაკალს გთეხ, მარე მან ადგთეხ (ლნტ. 123) --	მარცვალს იყოფენ, მაგრამ ვერ გაიყვეს.
ხუნდ ახუეფერებალენ, მარე მან ათუამარდ (ლნტ.)	-- ბევრი ვეფერე, მაგრამ ვერ დავამშვიდე.
ზურალს ბეფშ მან ლოქ ლახოუფნაუ? (ლნტ.) --	ქალს ბავშვი ვერ დაუძინებიაო?
ლგცხირთ, ლგთავ მადე მგსყე ეშხუ ლის ხედვა ხანქა, მან ჟანსყან. -	ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი, და არა ქმნილი.
ერქა დანვ ქანშეჩედელი ლარმიდ, მარე ჩუ მანშ ათორმა -	მაშინ დევი ასულა დასაჭერად, მაგრამ ვერ დაუჭერია.
ხაჭიმ დანვს ბეფშ, მარე მან ათეიდა. -	მისდევს დევს ბავშვი, მაგრამ ვერ დაეწია.

<p>ქანკად ზურალ ქამხო, (\ ხაკუდხდა) ალ უკვდებში წყარო ლიკედ, მარე მამჩ ახოზიდ ჟი შირაღს. -</p>	<p>გამოვიდა ქალი გარეთ, უნდოდა ამ უკვდავების წყაროს აღება, მაგრამ ვერ ასწია (შირა).</p>
<p>დიდხახდ მამჩ ათირ მიჩა ჭამ ი ალ მეჩი მარეს ახაქენე მიჩა თავგადასავალ. -</p>	<p>-დიდხადმა ვერ იცნო თავისი ქმარი და ამ მოხუც კაცს ათქმევინა თავისი თავგადასავალი.</p>
<p>არი ხვან ხანს, მარე მამჩ მეწად. -</p>	<p>არის დიდი ხანი, მაგრამ ვერ დამინახა.</p>
<p>მი პატრონა მამჩ ახუკ თვეფს. -</p>	<p>მე პატრონა ვერ გამოვუღე თოფს.</p>
<p>ქაჩად დევის ი სკა ლახებორგან შირას ი ხობდერდა ჟი ი ხაჯიდ ეჯ დროს დავდ ჭიშხ დევისს ი სკა ლიკვანე ხეკვადდა ორმოხობისა, მარე მამჩ ადაკვარ სკა. -</p>	<p>გავიდა დევისი და ხელი მოკიდა (შირას) და წევდა ზემოთ და დაარტყა იმ დროს დევმა ფეხი დევისს და ჩაგდება უნდოდა ორმოში, მაგრამ ვერ ჩააგდო შიგ.</p>
<p>ბავდ ხაქვ: "მი იმაი ჯექარ, ეჯი მამჩ დერ ამისყხეს, ღვრდენ ვახო, ქა დემგვამს ჯავდი"! -</p>	<p>მღვდელმა უთხრა: „მე რაც გითხარი, ის ხომ ვერ გამიკეთე, წადი სახლში, მოცემით არაფერს მოგცემ!“</p>
<p>ლაქვ გუისა, ერე "ძინარხოქა დემოხ ლოქ ღური, ძინარს ალე ლოქ ალვე მამჩ ახვგამდება, ერქა მარე ნომა ლოქუ ხე"! -</p>	<p>თქვა გულში, რომ „დილამდე არსად წავალო, დილას ეს თუ ვერ გავიგეო, მაშინ კაცი არ ვიყო!“</p>

The Faculty of Humanities at Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Master's Program **Kartvelian Linguistics**

Tamar Chanqseliani

**Structural-Semantic Analysis of Particles Expressing the Denial of the
Possibility of an Action in Kartvelian Languages**

The work is represented for the MA degree of **Kartvelian Linguistics**

Thesis Supervisors:

Ketevan Margiani-Subari, Dr. in Philology, TSU Associated Professor

Maia Lomia, Dr. in Philology, TSU Associates Professor

Tbilisi

2019